ხუთშაბათი, 1917 წ. მარიამობისთვის 17 (30) წელიწადი მესამე ფასი 15 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

საქართველოს პრონვული ბიბლიოთეკა

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ მკათათვიდან წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით—5 მან., ერთი თვით (მხოლოთ [illegible]) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. განცხადების ფასი [illegible] პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 180 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 180

# გაზეთის შინაარსი

## საგულისხმო ცნობები

მოსკოვის თათბირზე ყაზახობამ საბჭოთა და კომიტეტების გაუქმება მოითხოვა.

საქარ. ერ.-დემოკრ. პარტიის წარმომადგენელმა საქართველოს პოლიტიკურ უფლებათა აღდგენა მოითხოვა.

სოფლის საზოგადოებათა („ვოლოსტების") საერობო არჩევნები მარიამობისთვის 15—25-დე მოხდება.

უკრაინაში ახალი მთავარი სეკრეტარიატი შესდგა. ვინნიჩენკო თავმჯდომარეობიდან გადადგა.

საქართველოს ყოფილი ეგზარხოსი პლატონი თბილისის მიტროპოლიტად დანიშნა მოსკოვის საეკლესიო კრილობამ.

## წერილები

გ. ვეშაპელი. თბილისის საბჭო და პარტიები.
რ. ინგილო. რუსეთის დამფუძნებელი კრება.

გ. იოსელიანი. ჩვენი სასულიერო სასწავლებლების მოწყობა.
მ. იმნაელი. გავუფრთხილდეთ ჭირნახულს.

მ. ჯანაშვილი. კახეთში.
კორესპონდენცია. ბოლბედან და შილდიდან.

## გაზეთ „საქართველოს" კანტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა, ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ, დღეიდან გაზეთის

**თითო ნომერი ეღირება 15 კაპ.**

ხელის მომწერთა ფასები შეიცვლება პირველ ენკენისთვიდან.

შაბათს, 19 აგვისტოს სოფ. კოჯორის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის ბათომის მე-7 კლასის გიმნაზიის მოწაფის

**ალექსანდრე (იგივე კოკი)**

**დიდიაძ**

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გამოუთქმელ მწუხარების ქვეშ მყოფი მშობლები მარიამ სილიბისტროს ასული და ბიქტორ ნიკოს ძე დიდიძე შვილებით. დასაწყისი წირვის 10 სათ., ხოლო შემდეგ პანაშვიდი.
1—752—1

შაბათს, 19 აგვისტოს, გადახდილ იქნება სასაფლაოზედ დაბა ზუგდიდში განსვენებული

**არეტა ლევანის ძე**

**დგებუაძის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილი კალისტრატე არეტას-ძე დგებუაძე და რძალი ბარბარე ივანეს ასული დგებუაძისა მათი შვილებით.
1—749—1

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.
1—732—თ.

ექიმის თანაშემწე

**ვანო სააკაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
1—748—თ.

[illegible]

**გაბაშვილი?**

[illegible]

მანგლისში

სოკოლოვის კორპუსის ბანაკში

ექიმი

**გ. ა. მუხაძე**

იღებს ხალხისგანისა ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სააბაშიძისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალისა

**ე. ივ. გაბარაშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ნერქესოვისა და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

**გ. ფ. მაღლაკელიძე**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ნაზარიშვილი, ტელ. 8—58.

ექიმი

**გ. ი. მაჩაბელი**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქ. № 4. (თ.—[illegible])

ექიმი

**გ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა კვირაძალებისა. მიხეილის პროსპ. № 86, [illegible].

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—10)

ექიმი

**გ. გ. ვეშაპელი?**

[illegible] უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—6 საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზმის ქუჩა, № 19

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—5

ექიმი

**ე. დ. შალამბერიძე**

იღებს სატებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 7.

# მოსკოვის სახელმწიფო თათბირი

## პროკოპოვიჩის სიტყვა

შინაგან საქმეთა მინისტრის შემდეგ ტრიბუნაზე ადის ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი პროკოპოვიჩი, რომელიც ახასიათებს სახალხო მრეწველობას და მეურნეობას.

ხელმძღვანელი ფაქტორი ეს ომია. ის ძლიერ ძვირად გვიჯდება. ომის მესამე წელიწადს ჩვენ დავხარჯეთ 40—50 პროცენტი იმ მატერიალისა რაც კი ოდესმე შეუქნია ჩვენს ქვეყანას.

ომი მძიმედ დააჩნდა რუსეთის საქვეყნო ბაზრისგან ჩამოშორებას· ასეთ მდგომარეობაში უნდა მთლად უსაქონლობა შექმნილიყო. ვაჭრობის სრული თავისუფლება ხალხს მთლად გაალარიბებდა. საჭირო იყო სახელმწიფოს ჩარევა სავაჭრო საქმის მოსაგვარებლად. ამ მიზნის ცენტრში განსახორციელებლად მთავარი საეკონომიო კომიტეტი მეტად მიზან-შეწონილ ორგანოდ გამოდგა. რუსეთის მდგომარეობა სურსათ-სანოვაგის მხრივ მეტად კრიტიკულია. ამის გამო მოხდა ექსცესები და ახალ ექსცესებსაც უნდა ველოდეთ. შენახული პური, რომელიც სამინისტროს განკარგულების ქვეშაა, კრიტიკულ მინიმუმამდე (26 მილიონი) დაეცა. ამ შენახულ პურის მოხმარებასაც ტრანსპორტის აწეწვა უშლის ხელს. საჭიროა ვაჭრების პროფესიულ გამოცდილების გამოყენება სასურსათო კამპანიის წესიერ გზაზედ დასაყენებლად.

მთავრობის მიერ მიღებულ მიწის პროგრამის შესახებ პროკოპოვიჩმა სთქვა, რომ დაბეჭვდაში ბევრი რამაა დაბახინჯებულიო. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს შესახებ მან განაცხადა, რომ იგი მრეწველობისა და შრომის განსავითარებელ პრინციპებით ხელმძღვანელობსო. გზათა სამინისტროს შესახებ ლაპარაკის დროს, მან განაცხადა, რომ დაზიანებულნი ორთქლმავლების პროცენტი 25 აღწევს, რომ მარტო მკათათვეში 250,000 ვაგონი არ დაუტვირთავთ. მთავრობა ზომებს ღებულობს. დაე, კაპიტალისტებმა მომეტებულ მოგებაზე და მუშებმა მომეტებულ დასვენებაზე ხელი აიღონ. სამშობლოს ხსნა ორივეს შეწირვას მოითხოვს.

## ნეკრასოვის სიტყვა

ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრს სცვლის ფინანსთა მინისტრი ნეკრასოვი: „ფინანსიური უბედურება ყველაზე უსაშინელესია. ფინანსიურ აწეწვაში, როგორც სარკეში, იხატება და მატულობს ყოველი არა საკეთილო ფაქტორები სახალხო მეურნეობისა 15 მილიარდის ვალდებულებათა დაუფარებლობა ამ წლის პირველ იანვრამდე თავისთავად აშკარავებს ყველაფერს. მის წინაშე კრთება ყველაფერი, რაც ითქმის სხვა დარგებზე. თუ მკითხავთ, რისგან მოხდა ეს, გიპასუხებთ, რომ ამის მიზეზი გახლავთ გადამეტებული სიუხვით ხარჯვა სარევოლუციო რუსეთისა. ქაღალდის ფულის გამოცემა მდგომარე წლის პირველ ორ თვეში მეტი იყო 423 მილიონი მანეთით, ხოლო პირველ მკათათვემდის 832 მილიონით. რადგანაც უბედურება აშკარაა, მინისტრმა წარუდგინა მთავრობას დაუყოვნებლივ გადასინჯოს ხარჯთ-აღრიცხვა. 49 მილიარდი ხარჯი და მხოლოდ 35 მილიარდი შემოსავალი—აი წყარო აურაცხელი დეფიციტი'ა. მინისტრი მოითხოვს სასტიკ ეკონომიას ფრონტზე და ზურგს უკან. ახალი, სარევოლუციო წეს-წყობილება გაცილებით მეტი ჯდება, ვიდრე ძველი. სასურსათო კომიტეტის ხარჯი 500 მილიონს აღწევს, მიწისას 140. ასეთ ხარჯებს ხაზინა ვერ აიტანს, უნდა ბოლო მოეღოს მათ. დიდი გავლენა აქვს ფინანსების მდგომარეობაზე აგრეთვე ხელფასის გადიდებას: მარტო პუტილოვის ქარხანაში ზედმეტი ამ მოთხოვნილებისა უდრის 90 მილიონს. ვერ უძლებს ზედმეტ მოთხოვნებს კერძო მრეწველობაც და თხოულობს სახელმწიფო ბანკისგან საგანგებო კრედიტებს. სამწუხაროდ ხელფასის მომატებას არ მისდევს თვით წარმოების გადიდება. პირიქით, გადასახადები, ნელა შემოდის. მდგომარეობა საშინელია, საჭიროა გადასახადთა მომატება. მემკვიდრეობითი და ქონებაზე გაწერილი გადასახადები, რომლებიც უკვე განძრახულია 1917 წ. მდგომარეობას ვერ შესცვლიან. საჭიროა და აუცილებელი გადირება არა პირდაპირი გადასახადებისა. იძულებულნი ვიქნებით შემოვიღოთ მონოპოლია ჩაისა, შაქრისა, სპიჩკისა.

ფინანსიური პოლიტიკა მჭიდროდ დაკავშირებულია თავდაცვასთან. სამშობლოს სახსნელად საჭიროა მსხვერპლი და წესწყობილება. მთავრობასთან ერთად მე გეკითხებით თქვენ:— ხართ მზათ თუ არა მიიღოთ ეს დებულებანი და გაატაროთ ის ცხოვრებაში ძალთა განწყობილების მიხედვით.

## მოსკოვის ქალაქის თავის სიტყვა

ფინანსთა მინისტრის შემდეგ სიტყვა ეძლევა მოსკოვის ქალაქის თავს რუდნევს, რომელიც ქალაქის გამგეობის სახელით ლაპარაკობს და მწუხარებით აღნიშნავს მოსკოვის გაფუცვას. თათბირის დასასრულს კერენსკი მოითხოვს ფეხით ადგომით პატივი სცენ გაგმირულ მოძმეებს.

შემდეგი სხდომა მოხდება ორშაბათს. კვირას მოხდება კერძო თათბირი.

## ჯგუფების თათბირი

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 13. გუშინ საღამოს დაწყებული ჯგუფების თათბირი დღეს დილიდანვე განახლდა. პოლიტიკურ ცხოვრების ცენტრი უნივერსიტეტში იქმნა გადატანილი, რადგანაც თითქმის ყველა კრებები იქ იყო დანიშნული. ცალკე ჯგუფებს თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება დაეჭირათ მთავრობის განცხადებებთან და აგრეთვე თვით სახელმწიფო თათბირთან. ზოგიერთა ჯგუფს თათბირი მეტად გაუჭიანურდა, ასე რომ სრული გარდაწყვეტილებაც ვერ მიიღეს. საღამოთი ჯგუფებს თათბირი ისევ ჰქონდათ.

### ბოლშევიკების ჯგუფი

ბოლშევიკების ჯგუფმა ის აზრი გამოიტანა რომ მთავრობის გუშინდელმა გამოსვლამ მთლად ახსნა მისი პოზიცია, ხოლო რაც შეეხება თვით მოსკოვის თათბირს, მას შემადგენლობის გამო არ შეუძლიან რუსეთის და ხალხის სურვილებისა თუ ნების გამომხატველად გამოვიდეს და იგი კონტრრევოლუციონერი სახისაა. ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს პროლეტარიატის დიქტატურა მოითხოვონ და თუ მარიამობისთვის 14 თათბირზე მათ უმრავლესობა წინააღუდგება, დარბაზს დასტოვებენ.

### სოციალ დემოკრატების (მენშევიკების) ჯგუფი

მენშევიკების ჯგუფი უარყოფით შეხვდება მოსკოვის თათბირს. მენშევიკ-ინტერნაციონალისტები დაჟინებით მოითხოვენ, რომ მთელ ჯგუფს მოეთხოვნა მთავრობისგან: სიკვდილით სასჯელის მოსპობა, ეროვნულ საკითხების რეპრესიებით გადაწყვეტაზე ხელის აღება, და საზათო მოწოდება. დღის სხდომაზე მენშევიკების ჯგუფს გარდაწყვეტილება არ მიუღია.

### სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფი

სოციალისტ-რევოლუციონერთა თათბირზე ორი მიმდინარეობამ იჩინა თავი. უკიდურესნი მოითხოვენ რომ მთელი უფლება სოციალ-დემოკრატების ხელში გადასულიყო, ხოლო მათ წინააღმდეგნი იყვნენ ზომიერები. უკიდურესნი უმცირესობას შეადგენენ. ბრეშკო-ბრეშკოვსკაია ორივე მიმდინარეობის შეერთებას შეეცადა. იგი მათ მთავრობის მხარის დაჭერად და ერთობისაკენ მოუწოდებდა. ჯერ-ჯერობით შეთანხმება არ მომხდარა.

### აკადემიური ჯგუფი

აკადემიური ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო. პეტროგრადელები მოითხოვდნენ, რომ მთავრობისთვის ნდობა გამოეცხადებინათ, ხოლო ოპოზიციური ჯგუფი მოსკოველებისა მოითხოვდა, რომ მთავრობასთან ნდობის გამოსაცხადებლად მათ მიერ შემუშავებულ და პეტროგრადელების მიერ შესწორებულ დეკლარაციის პროექტი წარედგინათ.

### სახალხო სოციალისტები

სახალხო სოციალისტების ჯგუფს პეშეხონოვი თავმჯდომარეობდა. მათ სიკვდილით სასჯელი სამშობლოსა და რევოლუციის სახსნელად საჭიროთ სცნეს.

### სასურსათო მოღვაწეთა ჯგუფი

სასურსათო მოღვაწეთა ჯგუფმა ის აზრი გამოსთქვა, რომ პურის ფასები შეურყევლად უნდა დარჩეს, რომ საჭიროა სასურსათო და მიწად-მოქმედების მინისტრების შეთანხმებით მოქმედება, მანუფაქტურაზე და რკინაზე მონოპოლიის შემოღება, პურისა და შაქრის მონოპოლიის შენახვა და სურსათის მისაწოდებლად გეგმის შემუშავება.

### სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების თათბირი

ოთხივე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს ალექსინსკი ეროვნულ დაცვის ნიადაგზე დგომას მოუწოდებდათ. მისი აზრით სამინისტროში ციმმერვალდელებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. ბელინის აზრით, მთავრობა მხოლოდ მაშინ იქნება ძლიერი, თუ სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლები მას ნდობას გამოუცხადებენ. ამასთან მთავრობის მიზანი ეროვნული დაცვა უნდა იყოსო. ენრეპმა განაცხადა, რომ საჭიროა დეკლარაციაში ისეთ პუნქტის შეტანა, რომელიც საკუთრების უფლების დაცვას შეეხებოდეს. მას წინ აღუდგნენ ეფრემოვი და მთელი რიგი გლეხთა წარმომადგენლებისა, რადგან მისი განცხადება ეწინააღმდეგებოდა იმ მეამამულეთა სურვილად, რომელთაც ჰსურთ, რომ გლეხებს მიწა არ ჰქონდეთ.

### ხალხის თავისუფლების პარტია

ხალხის თავისუფლების პარტიაში ორ მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთი ჯგუფი, ტესლენკოს მეთაურობით ამტკიცებდა რომ ეხლანდელი მთავრობა სამშობლოს მხსნელ მთავრობად ვერ ჩაითვლება, რადგან მემარცხენე პარტიებისკენ იხრებაო. მეორე ჯგუფი, ნაბოკოვისა და როდიჩევის თაოსნობით, ამტკიცებდა, რომ სოციალისტებთან განხეთქილების დრო ჯერ არ დამდგარა. თათბირი გაწყვეტდა. დასასრულ მილიუკოვმა განაცხადა, რომ შესაძლოა ორთავე დებულების შერიგება, და რომ მთავრობამ უნდა მიიღოს ის საერთო ეროვნული პროგრამა და პირობები, რომელნიც ხალხის თავისუფლების პარტიამ წარუდგინა კერენსკის.

### მუნიციპალური ჯგუფი.

მუნიციპალურ ჯგუფის სხდომაზე პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე ისაევმა განაცხადა, რომ საჭიროა ქალაქის თვითმართველობაში სრულიად არ ერეოდეს ადმინისტრატიული მთავრობა და რომ სასურსათო საქმე მთლად ქალაქებს გადაეცეს.

### თათბირის ჯგუფების წევრების რაოდენობა.

მოსკოვის ქალაქის გამგეობამ თათბირში მონაწილეობისათვის ჩამოსულ ჯგუფების წევრთა რაოდენობა გამოიანგარიშა დაახლოვებით: ოთხთავე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლები—488, გლეხთა წარმომადგენელი—100, ჯარისკაცთა დეპუტატების—100, აღმასრულებელ კომიტეტის და ჯარისკაცთა შეერთებულ კომიტეტების—129, ქალაქების—147, ეროზის და საქალაქო კავშირების—18, ეროზის—118, სავაჭრო-სამრეწველო ბანკების და საზოგადოების—150, სამეცნიერო ორგანიზაციების — 99, მშრომელ ინტელიგენციის 83. ლაშქრისა და ფლოტის—117, სამღვდელოების და სასულიერო ორგანიზაციების—29, ეროვნულ-საზოგადოებათა—58, სასურსათო კომიტეტების—90. სოფლის სამეურნეო საზოგადოებათა—51, კოოპერატივების 313, პროფესიულ საზოგადოებების—176 სამართველო კომისრების—33, სამხედრო უწყების—1, მოსკოვის სასამართლოს დაწესებულებათა—4, მთავრობის წევრნი და მინისტრების წარმომადგენლები 15.

მარიამობის 13-ს კვლავ 100-ზე მეტი წევრი მოემატა. ამათში ეპისკოპოსი ევლოგი, გენერალ კორნილოვი და მინისტრები: სკობოლევი და იურენევი. საერთოდ 2,500 მეტი წარმომადგენელია.

### მჭევრმეტყველთა დანაწილება.

მარიამობისთვის 13-ს სხლ მ ოთი სხვა და სხვა ჯგუფების მჭევრმეტყველების არჩევა დასრულდა. სულ 91 მჭევრმეტყველია. მათი არჩევა ყველა ჯგუფის წარმომადგენლის თანხმობით მოხდა. მჭევრმეტყველთა სიმრავლის გამო თათბირი მარიამობისთვის 15 დის გასტანს. ჯგუფების დეკლარაციებს ორ დღის განმავლობაში გამოაცხადებენ. ყოველ დღე ილაპარაკებენ: 1 ლი მე-2 და მე-3 სახელმწიფო სათათბიროს ორ-ორი წევრი და მე-4 სი ოთხ-ოთხი, ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალ კომიტეტის—3, დანარჩენ ჯგუფების 1—4 მჭევრმეტყველი. ჯგუფებში შედიან: სამღვდელოება, მრევლი, სტაროობრიადელები, სახარების მიმდევარნი გლეხები, ყაზახთა ორგანიზაციები, ყაზახთა დეპუტატების ყაზახთა საბჭო, გლეხთა კავშირი, მშრომელი ინტელიგენცია ქალთა სწორუფლების ლიგა, ქალაქების და საერობო თვითმართველობანი, ქალაქებისა და ერობის მოსამსახურეთა კავშირები, აკადემიის ჯგუფი, სამასწავლო ორგანიზაციის კავშირი, კავშირი: წმ. გიორგის კავალერებისა, ლაშქრისა და ფლოტისა, ოფიცერთა დეპუტატების საბჭოები, დაშავებულ ჯარისკაცთა კავშირი ლაშქრის, ფრონტის და ფლოტის კომიტეტები, კოოპერატივები, სასურსათო კომიტეტები, მოსამსახურეთა კავშირები, ეროვნული ჯგუფები, ეროვნულ - სოციალისტური ჯგუფები, ვაჭრობა-მრეწველობის და სამხედრო-მრეწველობის კომიტეტები, პროფესიული კავშირები, ბანკები, რკინის გზის ჯგუფები და სხვანი.

## სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენელთა თათბირი.

მარიამობისთვის 14 ს დილით პირველ სამ სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებს და გლეხთა დეპუტატების ცენტრალ საბჭოებს ჰქონდათ თათბირი. ხოლო საღამოს მე-4 ე სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებს და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენლებს. დილის სხდომაში მონაწილეობდენ: აკადემიური ჯგუფის წარმომადგენელნი სამასწავლებლო კავშირებისა, გიორგის კავალრებისა, ლაშქრისა და ფლოტის ოფიცრებისა, დაშავებულ ჯარისკაცების, სასურსათო კომიტეტების, კოოპერატივების, პოლიტიკურ პარტიების და ჯგუფების; საღამოსაში —წარმომადგენლები სავაჭრო სამრეწველო ორგანიზაციების, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების, პროფესიონალურ კავშირების, ბანკების და ეროვნულ ჯგუფების. მჭევრმეტყველთა ლაპარაკის დრო განაზღვრული აქვთ 5-20 წუთამდე იმ მოსაზრებით, რომ თათბირი მარიამობისთვის 15 ღამე დამთავრდეს.

### საბჭოთა შეერთებული კრება.

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 13. საღამოს ზიმინის თეატრში საბჭოთა შეერთებული კრება მოხდა. კრებას **ჩხეიძე** თავმჯდომარეობდა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა წერეთელმა. იგი შეეხო ბურჟუაზიის და დემოკრატიის ერთიერთ შორის დამოკიდებულებას. წერეთელმა განაცხადა; დემოკრატიამ უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ინტერესები შეიძლოდაა გადაწნული სამშობლოს კეთილდღეობაზე,—ხოლო ბურჟუაზიამ უნდა შეიგნოს დემოკრატიასთან შეთანხმების აუცილებლობაო.

დანმა დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა დეკლარაციის პროექტი წარადგინა. დეკლარაცია შეეხება ხალხურ-სამეურნეო ცხოვრების, ორგანიზაციას, სამხედრო ძალებს და საგარეო პოლიტიკას. ეროვნულ მმართველობის საკითხების შემზადება კომისიას დაევალა.

### წერეთელის განცხადება.

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 13. დეპუტატთა საბჭოების მიერ გამართულ მიტინგზე წერეთელმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. მან განაცხადა; დემოკრატიამ ხმა-მაღლა უნდა უთხრას მთავრობას, რომ სამშობლოს ხსნა რევოლუციით მოპოვებულ უფლების დაუცველად არ შეიძლება. საჭიროა სამშობლოს სახსნელად კოალიციურ კავშირის შექმნა, რომელშიაც დემოკრატიის მეთაურობით მცხოვრებთ ყველა ჯგუფი მონაწილეობას იღებდესო.

### კერენსკის ადლუმი.

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 13, ალექსეევის სამხედრო სკოლის მოწაფეებმა, სათადარიგო პოლკების, არტილერიის და ყაზახების დახმარებით სადღესმო (სამარულო) მინდორზე სამხედრო დღესასწაული გამართეს. კერენსკის სამხედრო მუსიკით შეეგებენ. სამხედრო მინისტრი თვითეულ როტას სალამს აძლევდა „გამარჯვება, მეგობრებო“ ო კერენსკის ხალხმა ოვაცია გაუმართა. კერენსკიმ ახალგაზდა სამხედრო მოწაფეთა ჯგუფს მიმართა: „იყავი ნზად!“ და საპასუხოდ ბაგშვთა ხმა შეესმა „მე მუდამ მზად ვარ!“ კერენსკიმ მაღლობა გადაუხადა ყაზახებს სამშობლოს ერთგულ სამსახურისთვის, და დაათვალიერა ქვეითი ჯარი, არტილერია და ყაზახები.

### კრების დაწყებამდის

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 14. სახელმწიფო თათბირის მონაწილენი ადრევე იყრიან თავს დიდ თეატრში. დილის 11 საათზე დარბაზი უკვე სავსეა. აქვე არიან უმაღლესი მთავარსარდალი და შრომის მინისტრი სკობოლევი. თორმეტს მეთხედი უკლია, რომ კერენსკი თავმჯდომარის ადგილს იჭერს. კორნილოვსა და კერენსკის მქუხარე ტაში თ და „ვაშას ძახილით ეგებებიან“. ისმის ხმები: „გაუმარჯოს რევოლუციონურ მთავრობას“, „გაუმარჯოს ლაშქარს“. სალამი ლაშქრისადმი დიდ ლდფ თოვანებას იწვევს.

### კრების დაწყობა და კერენსკის განცხადება

ჰხსნის კრებას კერენსკი და შემდეგს აცხ დებს: „ვთხოვ აქ შეკრებილთ, ახსოვდეთ ნხოლოდ სახელმწიფო და ამ საშინელ დროს სიწყნარე დაიცვათ. მოგიწოდებთ ყველას აქ მყოფ უმაღლეს მთავარსარდალს, როგორც ლაშქრის განსახიერებას, სალამი უძღვნათ თავისუფლებისა და სამშობლოსათვის განწირულ შვილებს. ყველა ფეხზე დგება. მქუხარე ტაში და „ვაშა“-ს ძახილი.

## ნაბოკოვის სიტყვა

პირველად მოთათბირეთა წინაშე ნაბოკოვი წარსდგა. მან აღნიშნა, რომ ყველამ მადლობა უნდა უძღვნას მთავრობას თათბირის მოწვევის გამო, რადგან ჩვენ საშუალება გვეძლევა ღრმად ჩავწვდეთ სახელმწიფო მდგომარეობას, შევაფასოთ და შევიგნოთ ისტორიული პასუხისმგებლობა ყველა მოქალაქეთაო. ნაბოკოვმა აღნიშნა ყველა ის განსაცდელი, რომელსაც კი რუსეთის სახელმწიფო განიცდის, და აღვიარა, რომ ყველაზე დამღუპველი ეს შინაური უთანხმოება და განხეთქილებააო. პირველ სათათბიროს სახელით მან განაცხადა, რომ ყოველივე განსაცდელთან საბრძოლველად საჭიროა მტკიცე და ძლიერი მთავრობა, რომელიც პარტიების და კლასობრივ განხეთქილების გარეშე უნდა იდგესო. ნაბოკოვმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სამშობლოს დაცვა უპირველესი მიზანია და დასძინა რომ ძველებურად მოაზრენი პატიოსან ზავს ეტრფიან, მაგრამ გერმანული ზავი კი არ იქნება პატიოსანი, არამედ ის ზავი, რუსეთისა და მის მოკავშირეთა გამარჯვებას რომ მოჰყვებაო. (ტაში).

## სემენოვის განცხადება

**სემენოვმა** განაცხადა, რომ მიწის საკითხი დამფუძნებელ კრებამ უნდა გადასწყვიტოს ისე, რომ კერძო ინტერესები საერთო ინტერესებს არ აღემატებოდნენ. დროებით მთავრობას მინიჭებული აქვს უფლება და მას მხარი უნდა დაუჭიროთ, რომ მან მიზნები განახორციელოს. უმთავრესი მიზანი დროებით მთავრობისა კი ეს სამშობლოს დაცვაო.

## გოლოვინის და ალექსინსკის სიტყვები

მეორე სახელმწიფო სათათბიროს სახელით **გოლოვინმა და ალექსინსკიმ** ილაპარაკეს. გოლოვინმა აღნიშნა, რომ არის ისეთი მოთხოვნილება, რომელზედაც ყველა პარტიებს შეუძლიანთ შეთანხმებაო. ეს მოთხოვნილებაა: მთავრობის სრული ხელმწიფებით მოსილება. აქვს თუ არა მთავრობას ეს სრული ხელმწიფება—კითხულობს გოლოვინი და თვითონვე აღნიშნავს, რომ კერენსკის ცეცხლის მფრქვეველი სიტყვები ამაში ეჭვს არ უნდა გვიძრავდეს. თავისუფალ სახელმწიფოს მთავრობამ საგედიწერო მდგომარეობის გამო მრისხანე ზომებს მიმართა. ეს იმას მოწმობს, რომ მისი ხელმწიფება ირყევა. ამიტომ საჭიროა მმართველობას მივსცეთ ის საძირკველი, რომელიც მას ასე ესაჭიროება. დასასრულ გოლოვინმა დროებით მთავრობისადმი სრული ნდობის გამოცხადება მოითხოვა.

**ალექსინსკიმ** განაცხადა, რომ მეორე სათათბიროს წევრები ისეთ ხელმწიფებას დაუჭერენ მხარს, რომელიც მოკავშირეებთან ერთად მედგრად განაგრძობს ომს, ვიდრე მთლად არ განდევნის მტრის ჯარს, როგორც რუსეთის ისე მოკავშირეების საზღვრებიდან და შეეცდება ხელმწიფების მოწყობას ეროვნულ თავდაცვის კოალიციურ მთავრობის მიერო. სახელმწიფოს სახსნელად საჭიროა კოალიციონურ სახელმწიფოს შედგენა. კოალიციონურ სახელმწიფოს შედგენა კი მხოლოდ ერთ-ერთმანეთ შორის დათმობითაა შესაძლებელი. ჩვენ გვსურს, რომ მთავრობა იყოს მტკიცე და დამოუკიდებელი.

## როდიჩევის სიტყვა

როდიჩევმა განაცხადა, რომ ჩვენ ყველაფერი გვაქვს გასამარჯვებლად მხოლოდ სურვილი არ გვაფრთოვანებს, მტერს უხარიან და მიუთითებს იმაზე, თუ რა მოუტანა რუსის ერს რევოლუციამ და აფრთხილებს თავისიანებს, რომ ისინიც ასევე არ მოიქცნენ. ჩვენ სულიერი ერთობა უნდა შევქმნათ! მაგრამ როდიჩევი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ სულიერ ერთობას ვერ აჩნევს აქ. დადგა უკანასკნელი მეთორმეტე საათი. იქ მტერია, სიმშილი და სიკვდილი აქ მოქალაქეთა ომი. ეს კვლავ იქნება თუ გაერთიანება არ შევძლეთ. მტკიცე მთავრობა საჭიროა იმიტომ რომ ლაშქარი ერთიან ძალად გადაიქცეს. საჭიროა სიმტკიცე და შეურყეველობა და რუსეთიც განსაცდელისაგან დაიხსნება.

## მთავარ ეპისკოპოს პლატონის განცხადება

მთავარ ეპისკოპოსმა სამშობლოს შემდეგი სიტყვებით მიმართა: ნუ ძრწი, ძვირფასო ნუ გეშინიან მშობელო, უფალი შენთან არს. საუკუნოების წინ რუსეთი დღეს უფსკრულის გზაზე იდგა. თავიანთ ამორჩეულს თვითმპყრობელობის უფლება მიანიჭეს და რუსეთიც ახალ გზაზე დადგა.

## სიროტკინის განცხადება

სტაროობრიადცების წარმომადგენელმა სიროტკინმა განაცხადა, საჭიროა რუსეთში პურის ნიშდების მოწყობა, თორემ შესაძლოა შიმშილმაც გასთელოს მოპოვებული თავისუფლებაო.

## პროხაროვის მოწოდება

სახარების მიმდევარ ქრისტიანების კავშირის სახელით პროხაროვმა მოუწოდა ერწმუნათ რუსეთის უხილავი ნებისყოფა და ძალა, და სამშობლოც განსაცდელისგან გადარჩებაო.

### ბოლმაკოვის მოწოდება

სტაროობრიადელების წარმომადგენელმა ბოლმაკოვმა სტაროობრიადელების დეკლარაცია განაცხადა. იგი მოუწოდებდა მთავრობას, რომ განკარგულება მოეხდინა სტაროობრიადელების მინდვრებიდან პურის დაბინავების შესახებ იგი სთხოვდა აგრეთვე პურის მინდვრებიდან გამოტანის მოწყობას.

## ყაზახთა გენერალ კალედინის სიტყვა

### ყაზახობა და რევოლიუცია

ყაზახთა საბჭოების წარმომადგენელ გენერალ კალედინს დიდის ტაშით შეეგებნენ. მან განაცხადა, რომ ყაზახობა დიდ სიამოვნებს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ კლასობრივი და პარტიული პოლიტიკა აღემატა საერთო ინტერესებს. კალედინს სწამს და სალამს უძღვნის მთავრობის გარდაუწყვეტილებას,—რომელიც კლასობრივ და პარტიულ გავლენიანობისაგან გასანთავისუფლებლად მიიდო. თავისუფალი ყაზახობა კი არ დაითრო თავისუფლებით, არამედ მან თავისუფლება ცხოვრებაში გაატარა და დემოკრატიული სამხედრო მთავრობა შექმნა. ყაზახობა სიამაყით აცხადებს, რომ მათ ბრძოლიდან გაპარვა თუ გაქცევა არ იციან, რომ ისინი მხნედ იცავენ და შემდეგშიც დაიცავენ სამშობლოსა და თავისუფლებას. ყაზახობა სიამაყით აცხადებს, რომ იმ სამწუხარო დროს აც, როდესაც სამშობლო დიდ მწუხარებას განიცდიდა, ყაზახობამ ისტორიულ გზას არ გადაუხვია. იგი იარაღით ხელში ბრძოლის ველზე დარაჯად ედგა სამშობლოს, ხოლო შინ ღალატის და გამცემლობის წინააღმდეგ წარმოებდა ბრძოლას. ყაზახობა, ამ საშიშარ დროს მოუწოდებს ყველა ცოცხალ ძალას გაერთიანებისკენ, შრომისა, და სამშობლოს სახსნელად და დემოკრატიულ-რესპუბლიკანურ თავგანწირვისაკენ. (ტაში ყველა კუთხიდან). სამშობლოს დაცვა, ომის მოკავშირეებთან ერთად, გამარჯვებამდის მიყვანას მოითხოვს. მთავრობა ამას უნდა ანხორციელებდეს და აი მაშინ იგი სრულს ნდობას დაიმსახურებს ყაზახობის თვალში და ყაზახობაც მას მხარს დაუჭერს.

### რას მოითხოვს ყაზახობა.

სამშობლოს სახსნელად ყაზახობა მოითხოვს: პოლიტიკის გარეშე მყოფს ლაშქარს, ყოველივე მიტინგების, თუ კრილობების აკრძალვას ლაშქარში. ყველა საბჭოების და კომიტეტების გაუქმებას (ხმაურობა მარცხნით, ტაში მარჯვნივ), როგორც ზურგში ისე ფრონტზე, საპოლკო, საროტო, სასეულო და საბატარეიოთა გარდა, სამეურნეო წესების დარგში მათის უფლებების და მოვალეობის საგრძნობლად შეზღუდვით; ჯარისკაც-მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის გადასინჯვას (ხმაურობა, ტაში), ლაშქარში დისციპლინის დამყარებას, გადამწყვეტ ზომების მიღებას როგორც ფრონტზე, ისე ზურგში სასჯელთა გადამწყვეტ უფროსების დაყენებას (მქუხარე ტაში მარჯვნიდან, ხმაურობა და სტვენა მარცხნიდან). საჭიროა მტკიცე მთავრობის აღდგენა ისეთ გამოცდილების ხელში, რომელთაც კავშირი არა აქვთ პარტიულ პროგრამებთან, კომიტეტებთან და საბჭოებთან. სუვერენულ უფლების წყაროდ ხალხის საერთო ნება უნდა ჩაითვალოს და არა ცალკე პარტიების, თუ ჯგუფების ნება. ყაზახობა მოითხოვს მოსამზადებელ მუშაობას და არჩევნების კანონიერობას მთელ რუსეთისათვის. დამფუძნებელ კრების ალაგად, როგორც თავის ისტორიულ მნიშვნელობის ისე მდებარეობის მიხედვით, მოსკოვი უნდა იყოს. ყაზახობა მოწოდებით მიმართავს მთავრობას, ყველა ძალების სამშობლოს საქ ნელად და მის საკეთილდღეოდ გამოსაყენებლად (მქუხარე ტაში).

## კერენსკის განცხადება

კერენსკი მეორედ მოუწოდებს დამსწრეთ—თავი შეიკავონ ყოველ გვარ როგორც შეურაცხმყოფელ, ისე მომწონებელ ხმაურობისაგან. მან განაცხადა, რომ მთავრობას ჰსურს ყველა დამსწრეთა აზრი მოისმინოს და სთხოვა, ნუ დაივიწყებენ, რომ თათბირი მთავრობამ მოიწვია, და შეუფერებელია ამ კრებაზე დროებით მთავრობისადმი მოთხოვნილებათა წარდგენა (ტაში. **პურიშკევიჩი** ადგილიდან: ჩვენ მთავრობაში სტატისტების როლს ვასრულებთ).

კერენსკიმ განაცხადა—„დროებით მთავრობამ საჭიროდ სცნო გამოეწვია უმაღლესი მთავარსარდალი, რომ მას ფრონტისა და ლაშქრის მდგომარეობა დაეხატა. თქვენ გეკუთვნით სიტყვა, გენერალო, მიმართა კერენსკიმ კორნილოვს,—რომელსაც ყველა მქუხარე ტაშით ეგებება მარცხენა მხრის ნაწილის გარდა. (ხმებია „ადექით“; ხმაურობა, არავინ დგება. კერენსკი სიწყნარის დაცვას და მთავრობის პირველ ჯარისკაცის პატივისცემით მოსმენას მოითხოვს).

კორნილოვი მიესალმება დროებით მთავრობას მომქმედ ჯარის სახელით და გამოსთქვამს მწუხარებას, რომ არ შეუძლიან მიესალმოს ყველა ჯარებისგან, რადგანაც დარწმუნებული არ არის, რომ რუსეთის ჯარი შეურყევლად შეასრულებს თავის ვალს სამშობლოს წინაშე. კორნილოვი არწმუნებს ყველას, რომ ანარქია ჯარში მოსპობილი იქნება, მაგრამ დამუქრება რუმინეთისა, რიგისა და პეტროგრადის გზისადმი წინ გვიძევს. ჯარი უთუოდ უნდა აღდგენილ იქმნას, რადგანაც ხსნა არა გვაქვს მის გარეშე.

## ჩხეიძის სიტყვა.

ჩხეიძის გამოსვლას მეზარცხენენი მიეგებნენ ტაშით და ძახილით: „გაუმარჯოს მეოდს რუსეთის რევოლიუციისას!“ ჩხეიძემ სთქვა: „თუმცა წინა ორატორმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაუქმებულ იქმნან დეპუტატთა საბჭოები, მე მაინც გამოვდივარ სალდათთა ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის, კოოპერატივების, ფრონტების და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციების სახელითა, ჩამოვალა ჯერ, თუ რა საშინელს განსაცდელშია დღეს რუსეთი და შემდეგ განაგრძო: დემოკრატია აცხადებს, რომ იგი არ დაერიდება არავითარ მსხვერპლს, რათა დაიხსნას სამშობლო და რევოლიუცია, ამიტომ საბჭოთა სახით რევოლიუციური დემოკრატია მხარს დაუჭერს ყოველ მთავრობას, რომელიც კი გამოიჩენს უნარს დაიცვას ინტერესები ქვეყნისა და რევოლიუციისაო.

### დემოკრატიის დეკლარაცია

ამის შემდეგ ჩხეიძე აჰქვეყნებს დეკლარაციას, რომელიც შედგენილია დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყველა წარმომადგენლებისაგან და აღიარებს რომ შეიძლება ჯარისა და ქვეყნის აღორძინება და რუსეთისა და რევოლიუციის ხსნა მხოლოდ მაშინ, თუ თუ სარევოლიუციო დემოკრატია ერთად სარევოლიუციო ხალხთან მიიღებს ნამდვილ საქმიან მონაწილეობას ამაშიო. ქვეყანა შეიძლება გამოვიყვანოთ დღევანდელ ტრაგიკულ მდგომარეობიდან და დავიცვათ იგი გარეშე და შინაგან მტერთა შეტევისაგან მხოლოდ ისეთი მთავრობით, რომელიც დაეყრდნობა მრავალ მილიონიან ხალხის ძალებსა. ყოველი ცდა, მოსპოთ და დაარღვიოთ დემოკრატიული ორგანიზაციები, დაჰბადავს უფსკრულს მათსა და მთავრობას შორის, გაჰხდის მთავრობას იარაღად შეძლებულ კლასების ხელში. რევოლიუციის ღალატი არის იგივე გაცემა სამშობლოსი.

### რას მოითხოვს სარევოლიუციო დემოკრატია.

შეერთებული რევოლიუციური დემოკრატია ფიქრობს, რომ ქვეყნისა და რევოლიუციის ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქმნენ ზოგიერთი ზომები ყველა დარგში, კერძოდ კი: მონოპოლიის შემოღება პურზე, მტკიცე ფასები სამეურნეო ნაწარმოებებზე, სოფლისთვის მიწოდება სამრეწველო ნაწარმოებთა, მტკიცე ფასების დადგენა მათზე, მოწესრიგება ხელფასის საქმისა, ტრანსპორტისა, აღდგენა წარმოებისა და მრეწველობისა, კანტროლის შემოღება მათზე და თუ საჭიროა სახელმწიფოს მიერ მათი სინდიცირაცია და მონოპოლია, შრომის დაცვა, დაარსება შრომის ბირჟებისა და შემარიგებელ კამერებისა, შრომის ბევრის შემოღება ყველა კლასებზე, მოწესრიგება შემოსავლის კვალობაზე გადასახადისა, აგრეთვე სამხედრო მოგებაზე და მემკვიდრეობაზე, გადასახადების დადება საფუფუნე საგნებზე და ძვირებულების მომატებაზე, იძულებითად განაწილება სესხისა, სასტიკი კანტროლი საკრედიტო დაწესებულებებზე, მოწესრიგება მიწის საქმისა ადგილობრივ კომიტეტების დახმარებით, განსაზღვრა უფლებათა და ვალდებულებათა კომანდის შემადგენლობისა და ჯარის ორგანიზაციათა კომისარებისა და სხვა. ჩხეიძემ გაათავა სიტყვა მოწოდებით — მხარი დაუჭირონ სავსებით უფლება-მოსილ მთავრობას, მთავრობა, რომელსაც ენდობა ხალხი, შესძლებს დასძლიოს ყოველი განსაცდელი და განამტკიცოს ფაქტიურად არსებული რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა. (ცხარე ტაში).

## მოსკოვის თათბირის ეხო

### ...აკრძალვა პეტროგრადში.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 13. მოსკოვის თათბირის გამო, შინაგან საქმეთა მინისტრი საგანგებო განცხადებით აუწყებს მცხოვრებთ, რომ პეტროგრადში აკრძალულია ყოველგვარი გამოსვლები და ხალხის თავის მოყრა ქუჩებში. დარღვევა ამ განკარგულებისა და მოწოდება ხალხისა აჯანყებისაკენ დასჯილი იქნება ყოველი საშუალებით. ც. ა. ს. დ. მოუწოდებს ყველას ყური არ უგდონ ჭორებს, გაუფრთხილდნენ პროვოკაციას და დაიცვან მშვიდობიანობა, გუშინ და დღეს ქალაქში სიწყნარეა.

### ყაზახთა სალამი თათბირს.

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 13. კერენსკის სახელზე ფრონტის ყაზახებისგან ორი დეპეშა მოვიდა. ყაზახების ყრილობა სალამს უძღვნის მოსკოვის თათბირს და ფიცს სდებს, რომ მზად იქნება სამშობლოსა და მოპოვებულ თავისუფლების დასაცველად.

### კიევის დეპუტატების საბჭოს რეზოლიუცია.

**კიევი.** მარიამობისთვის 12. დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტმა მოსკოვის სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მიღებულ რეზოლიუციით ის აზრი გამოსთქვა, რომ იგი უმეტესად კონტრ-რევოლიუციონურია და არა ხალხის სურვილების გამომხატველი. ამიტომ იგი შეეცდება უფლება მოსილების ხელში ჩაგდების ნიადაგის შემზადებას. კიევის დეპუტატთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია, რომ რევოლიუციონურ მთავრობის წარმომადგენლები შეერთდნენ მტკიცედ და დაუყოვნებლივ მოითხოვონ ძკათათვის 8-ში გამოქვეყნებულ პროგრამის ცხოვრებაში გატარება.

### ბოლშევიკების პროტესტი.

**კოსტრომა.** მარიამობისთვის 12. ბოლშევიკების თაოსნობით მოსკოვის თათბირისა და სიკვდილით სასჯელის აღდგენის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაიმართა. ქალაქში აფიცვაა. მიტინგებზე საპროტესტო რეზოლიუციები გამოიტანეს.

## ეროვნულ დემოკრატიული პარტიის დელეგატის დეპეშა

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 15. თათბირი ამაღამ დამთავრდება. გუშინ კორნილოვმა დაგვიხატა, თუ რა საშინლად დაშლილია ჯარი.

დღეს კრაპოტკინმა წინადადება მისცა თათბირს, როგორც თემთა („ზემსკი“) კრებას, აწყრუკის მიხედვით, ფედერატიული რესპუბლიკა გამოეცხადებინა. მას მხოლოდ ტაშით უპასუხეს.

პლეხანოვმა ბურჟუაზიასა და დემოკრატიას ერთიერთმანეთის ხელის მიცემა ურჩია. მან შიში გამოსთქვა, შეიძლება დემოკრატია გაკოტრებულ მამას დაემგვანოს, რადგან მან ხალხს უკვე მისცა დიდძალხიანი თამასუქიო.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით მე მოვითხოვე საქართველოს პოლიტიკურ უფლებათა დაუყოვნებლივ აღიარება და აღდგენა.

ი. მაჭავარიანი.

# რევოლუცია

## სუხომლინოვის გასამართლება

### მოწმეთა ჩვენებანი.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 13. მოწმე გენერალი **ივანოვი** ამბობს: გერმანიამ და ავსტრო-უნგრიამ იცოდნენ რუსეთის სამხედრო საქმეები პეტროგრადის წყაროებიდან. მას არ შეუძლიან სთქვას, რომ ეს ცნობები გადაცემული იყო სუხომლინოვისაგან, მაგრამ ავსტრიას ჰყავნდა 194 ჯაშუში კიევში, მათ ჰქონდათ ინსტრუქცია ყოფილიყვნენ ჩემს გარშემო და არაფერი დაეზოგათ ამისთვის. განზრახული ჰქონდათ ესარგებლათ ჩემი ცუდი განწყობილებით სუხომლინოვთან. ჩვენც ვიცოდით ავსტრიის გეგმები. ივანოვი შავი ხაზებით ასურათებს ჯარის მდგომარეობას: გვაკლდა იარაღი და ტყვია-წამალი. მოწმე გენერალ-კვარტირმეისტერი **დანილოვი** ჰხსნის ამას ქარხნების მოუმზადებლობით და საშუალებათა უქონლობით. სამხედრო მინისტრის კანცელარიის უფროსი **დანილოვი** ამბობს: სუხომლინოვმა გვიბრძანა შევამზადოთ სია დაცვის ცნობათა, რომ წარუდგინოთ მეფეს, მაგამ იგი მეფეს კი არ წარუდგინეს, და აღმოჩნდა ჯაშუშის ხელში, რომელიც იყო სუხომლინოვის ბიძაშვილი გოშკევიჩი. ნიკოლოზის საინჟინერო აკადემიის პროფესორი **ველიჩკო** ამბობს: სუხომლინოვმა რომ თანამდებობა მიიღო, გააუქმა სამინისტროს ბევრი საჭირო თანამდებობა და აღეკრძალა გამგეობის ზოგიერთ ნაწილების უფროსებს პირდ პირ მოეხსენებინათ მეფისთვის საქმეები. სუხომლინოვი თითონ არაფერს აკეთებდა, არ მოამზადა დაცვა და, პირიქით, იქამდის მივიდა, რომ გააუქმა ზოგიერთი ციხეები პოლშისა და ავსტრიის საზღვარზე, ხოლო, როცა საფრანგეთის გაზეთებმა განგაში ასტეხეს ამის გამო პრესაში და საზოგადოებაში, სუხომლინოვმა გაგზავნა იქ ანდრონიკოვი და მარაპოვი დაამშვიდონ ისინი. ციხეების გაუქმების წინააღმდეგ იყვნენ აგრეთვე გენერალ-გუბერნატორი სკალონი და დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე **პოლივანოვი** ამბობს, რომ ჯარის საომარი უნარის აღდგენა ძლიერ ძნელი იყო სამინისტროსთვის და სახელმწიფო სათათბიროსთვის, რადგანაც მცირე გამოსავალი ჰქონდათ სახაზინო ქარხნებსა. ვიდრე გაზვის დროს, 1912 წელს, მე მოვახსენე სამხედრო მინისტრს ამ ნაკლზე და მიზეზად დავასახელე არა მარტო ქარხნები, სამხედრო უწყებაც. ამას ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო სათათბიროც. 1912 წელს გერმანიაში შემოიღეს ერთხმობითი სამხედრო გადასახადი, ხოლო მეორე წელს—ვრცელი სამხედრო პროგრამა. მაშინაც აუცილებელი იყო ომი, ჩვენ კი სრულიად მოუმზადებელნი ვიყავით. მოწმე უჩვენებს, რომ აქ მა-

...რტო სუხომლინოვი არ იყო დამნაშავე. ომისთვის უნდა მომზადებულიყო მთელი ხალხი და მთელი მთავრობა. მოწმე ამტყუნებს სუხომლინოვს ზევრ საჭირო გამგეობათა გაუქმებაში. სუხომლინოვი ცუდათ მეპყრობოდა მეო, ეგონა, ვითომც მისი ოედოვის ამბების გამჟღავნება გაზეთებში ჩემი ბრალი იყო. კომისიებში და შეერთებულ სხდომებზე სახელმწიფო სათათბიროსი სუხომლინოვი იშვიათად ესწრებოდა. სათათბირო არაფერს აკლებდა სამხედრო კრედიტებს.

# ეროვნული საკითხი

## ფინლიანდია და რუსეთი

**გაზეთების აზრი სეიმის განახლებაზე**

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 10 (დაგვიანებულია). ჰელსინგფორსის „ნომატი“ არჩევს-რა ს.-დემოკრატების გადაწყვეტილებას განაახლონ სეიმის მოქმედება, სწერს: „პარტიის ხელმძღვანელნი იწვევენ ძველ სეიმს და ამით საშიშ მდგომარეობაში აგდებენ ფინლიანდიის უძვირფასეს უფლებებსაო. ისე გამოდის, რომ მათ ჰსურთ გამოიწვიონ შეიარაღებული ჩარევაო“. „უსისუომატა“ ამბობს: „მთავრობა უქადის გარეკვას სეიმს, თუ იგი შეიკრიბა. ჩვენის ფიქრით, უმჯობესი იქნებოდა თავი მოეყარათ მხოლოდ მსურველთ, რადგანაც სულ ერთია მათს მოქმედებას არ ექნება კანონიერი ძალაო“. „ჰუვუდსტადსბლადეტი“ ფიქრობს, რომ სეიმისთვის საჭიროა თავის მოყრა, რათა გამოსთქვას თავისი აზრი დათხოვნაზე და დღევანდელ მდგომარეობაზეო. სამწუხარო იქნება, თუ მათი მეცადინეობა შეწყვეტილი იქნება გარეშე ძალით: ეს მხოლოდ გაამწვავებს საქმესო“.

## უკრაინა და რუსეთი

**ახალი სეკრეტარიატი.**

**კიევი.** მარიამობისთვის 15. შესდგა ახალი მთავარი სეკრეტარიატი. თავმჯდომარედ შინაგან საქმეთა მდივნად დოროშენკოა. შრომის მდივნად—ვინიჩენკო. მათი დამტკიცება დროებით მთავრობას წარედგინა.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 15. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** სროლა და მზვერავთა მოქმედება.

**რუმინეთის ფრონტი.** მტერმა ჩერნოვიციდან ნოვოსელიცისკენ დაიწყო შემოტევა. რაკიტნასა და პრუტის შუა მტრის არტილერია დილიდანვე უშენდა ჩვენს არტილერიას. ბოიანის ჩრდილოეთით ჩვენებმა თხრილები დასტოვეს და აღმოსავლეთისკენ წამოვიდნენ. ავსტრიელების ქვეითი ჯარი წინ მოიწევს.

**კავკასიის ფრონტი.** ღირს შესანიშნავი არა მომხდარა-რა.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მარიამობისთვის 14. მდ. ეინის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლის შემდეგ რამდენიმე იერიში მოიტანეს. ბომონის სამხრეთით ჩვენ დაჭერილ ასპარეზებზე გავმაგრდით. მარიამობისთვის 13-ს 1100-ზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ. მათში 32 ოფიცერია. გერმანელებმა კომმერის აუტეხეს სროლა.

მარიამობისთვის 12 და 13 გერმანელების 3 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**რომი.** მარიამობისთვის 14. ოფიციალი. ბანზიცის ზეგანის აღმოსავლეთით მტერი წინააღმდეგობას გვიწევს. ჩვენ 100-მდე ტყვე წამოვიყვანეთ. ჩვენი ჰაეროპლანები მტრის ბანაკებს ყუმბარებს უშენდნენ.

# თბილისის ახალი საბჭო და პარტიები

I

თბილისის ქალაქის საბჭოს პარტიების ძალთა განწყობილება და ტაქტიკა უკვე გამოირკვა. საბჭოს ბედის პატრონი სოციალ-დემოკრატიული პარტია გახდა. ამ პარტიის „შენშევიკური“ პროგრამა და ტაქტიკა, რამდენათ იგი ბურჟუაზიულ და სოციალისტურ დემოკრატიის „ცხოველ“ ძალთა კოალიციას ეცხობს, დამთმობი არის, კომპრომისული.

ამავე დროს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა და ტაქტიკა ინტერნაციონალია... მაგრამ უცხოეთში გაბნეულ სომეხ მუშათა და გლეხთა უმრავლესობა სომხეთის სახელმწიფოებრივ ტერიტორიის „შექმნისათვის“ მებრძოლ ეროვნულ პარტიის—„დაშნაკცუტუნის“ დროშის ქვეშ სდგას;—თათარ-თურქთა ხალხი ისლამის კონსერვატორული, ეკონომიური და სარწმუნოებრივი პირობების გამო ჯერ არცკი დაყოფილა კლასებად და მხოლოდ „მუსულმანურ“ პარტიას ენდობა; დაბოლოს რუსთა დემოკრატია საქართველოში უფრო მეტად სალდათების ფარაჯაში ჩაცმულ გლეხობით არის წარმოდგენილი და მის თემურ—ობშჩინურ ტვინს გარდა ღვთისგან ბოძებულ „მიწისა“ არა ახსოვს რა და რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა პარტიას მისდევს უკან მოუხედავათ... ამიტომ არის რომ ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაცია უმთავრესად ქართველ მუშა ხალხიდან შესდგება და მას ქართული დემოკრატიული ხარჯით უხდება ერფურტის და ციმერვალდის ინტერნაციონალი პროგრამის და ტაქტიკის განხორციელება როგორც საქართველოში, ისე კავკასიაში და მთელ რუსეთშიაც!.. ბ-ნი ნოე ჟორდანია ერთ თავის ნაწერში ქართველი პროლეტარიატის „ისტორიულ მისიაზედაც“ კი სწერს და ამ მისიას კავკასიაში ინტერნაციონალიზმის განმტკიცებაში ხედავს!.. ადრე თუ გვიან ქართველ დემოკრატიის „წამგებიან“ სეხებს ბოლო მოეღება იმით, რომ სხვა სახელმწიფოებრივ და არა სახელმწიფოებრივ ეროვნებათა გაკვეთილების მიხედვით საქართველოში მომქმედი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიათ იქცევა. ამასთანვე მის რაზმს გამოეკლება დიდი ნაწილი იმ ქართველ დემოკრატიისა, რომელიც არც მდგომარეობით და არც შეგნებით პროლეტარიატის კლასიურ პარტიას არ უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ რომელიც აქამდის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მიტომ მისდევდა, რომ იგი ერთად-ერთი დემოკრატიული პარტია იყო ჩვენში—(მემკვიდრეობა ამ მხრივ პირდაპირ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის, და ამ მიკუთვნებისათვის მხოლოდ მტკიცე ტაქტიკაა საჭირო...).

—

სოციალ-დემოკრატიული პარტიის კოალიციური და ინტერნაციონალი ტაქტიკა ქალაქის საბჭოს პირველ სხდომახედვე დაუპირდაპირდა მეორე ძლიერი პარტიის, „დაშნაკცუტუნის“ ნაციონალისტურ და ცრუ-სოციალისტურ ტაქტიკას და ამ დაპირდაპირებამ პირველ ყოვლისა დაასამარა „კოალიციური“ პრინციპი.

ამაზე შემდეგ.

ზ. ფუშაპელი.

# რუსეთის დამფუძნებელი კრება

დღიდან რევოლიუციისა რუსეთის სახელმწიფოს განაგებს დროებითი მართველობა, რომელიც თვის მოქმედებას უფარდებს დემოკრატიულ-რესპუბლიკანურ იდეებს. სახელმწიფო წეს-წყობილების ამ ფორმისაკენ, როგორც ეტყობა, იხრება საერთო სიმპატია პროგრესიულ რუსეთისა, რასაც ამტკიცებს თუნდაც კადეტთა პარტიის კონფერენცია, რომელმაც პროფესსორ კოკოშკინის წინადადებით ერთხმად დაადგინა, რომ, თუმცა უკანასკნელ დრომდე პარტია პოლიტიკურ მართველობის უმჯობეს ფორმად აღიარებდა კონსტიტუციურ მონარქიას, მაგრამ დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით და საზოგადოებრივ განწყობილების ზეგავლენით იგი ემხრობა დემოკრატიულ რესპუბლიკას. ზედმეტია, რასაკვირველია, გავიხსენოთ, რომ დანარჩენი მარცხენა მდგომი პოლიტიკური პარტიები უწინაც და ახლაც მოითხოვენ დემოკრატიულ რესპუბლიკანურ წეს-წყობილებას; მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ რა ტიპის რესპუბლიკა უფრო შეეფერება რუსეთის სახელმწიფოს, ესე იგი, რომელი პრინციპი უნდა განხორციელდეს—ცენტრალისტური, თუ დეცენტრალისტური? რა უნდა ასაზრდოებდეს სახელმწიფოს—ერთი კანონმდებელი ცენტრი, ერთი პოლიტიკური ორგანო, თუ ჩამოყალიბებულ ერთა აშკარად განსაზღვრული პოლიტიკური თვითმართველობა, ჩაქსოვილი სახელმწიფოს მთლიანობის და განუყოფელობის იდეაში?

მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის მცხოვრებთა უმრავლესობის აზრი პოლიტიკურ წყობილების შესახებ ყველასათვის ნათელია, მაინც საჭიროა შესრულდეს ერთგვარი ფორმალობა: სახელმწიფო უფლების მეცნიერება და კულტურულ ქვეყანათა ჩვეულებაც მოითხოვს, რომ მოქალაქეთ სხვა და სხვა—უკვე მიღებულ—საშუალებით გამოსთქვან თვისი შეხედულობა ამა თუ იმ პოლიტიკურ წყობილების სასარგებლოდ. მომცრო სახელმწიფოებში, როგორიც არის, მაგალითად, შვეიცარია, ხალხის სურვილი საჭირო შემთხვევებში თითქმის ყოველთვის გამოითქმის პლებისციტის საშუალებით კანტონების მცხოვრებნი საერთო ყრილობებზე პირდაპირ განახორციელებენ მართვა-გამგეობას და ამ რიგად გამოსახული ერის ნების-ყოფა სახელმწიფო აღმაშენებლობას ედება ურყეველ საფუძვლად. სულ სხვა პირობებში იმყოფებიან დიდი სახელმწიფონი და მით უმეტეს რუსეთი, სადაც ტეხნიკურად მოუხერხებელია ზემოაღნიშნულ მეთოდის მეოხებით საერთო აზრის გამოთქმა.

ტიპიურ სახელმწიფოებში ყოვლად შეუძლებელია პირდაპირი ხალხთ-მართველობის განხორციელება: სულ უკიდურესი დემოკრატიული წყობილებაც იგულისხმებს, როგორც აუცილებელ ფაქტორს მართვა-გამგეობისას, წარმომადგენლობითი სისტემის შემოღებას და სწორედ ამ სისტემის მიხედვით უნდა შესდგეს ის სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომლისკენაც მიმართულია საერთო ყურადღება, რომლის მოწვევას აღელვებით და მოუთმენლად ელის, როგორც თვით რუსეთი, აგრეთვე საზღვარ-გარეთიც და უმთავრესად, თავის თავად ცხადია, რუსეთის საომრო მოკავშირენი და რომელსაც აძევს დიდი ტვირთი სახელმწიფოს პოლიტიკური სახის გამოაშკარავებისა.

ბევრი მიზეზების გამო, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიო ომის მიერ გამოწვეულ ცხოვრების არევ-დარევას, დამფუძნებელი კრების მოწვევა ვერ შესდგა დროზე. უკვე განვლო ორი ვადამ, რომლისთვისაც განზრახული იყო მისი შეკრება, მაგრამ დღესაც რუსეთის აშფოთებულ პოლიტიკურ ცხოვრებას დროებითი რევოლიუციური მთავრობა აწარმოვებს.

ამ დღეებში გამოქვეყნებულ მთავრობის დადგენილების ძალით დამფუძნებელი კრება შესდგება ნოემბრის 28-ს, ხოლო არჩევნების დღეთ დანიშნულია 12 ნოემბერი.

ერთის მხრით ომმა და შინაგან ცხოვრების მოუწყობლობამ, მეორის მხრით, საშინლად შეაწუხა ხალხი. აჯანყების ხანას და მეტად გამოურკვეველ პოლიტიკურ ვითარებას ხელსაყრელ პირობებათ იყენებენ მრავლად გაშენებული გამთიშველი და წესიერი ცხოვრების დამრღვევი ჯგუფები, რომელთა თვალდუმული ნავარდობა ყოვლად შეუძლებლად ჰხდის მოქალაქობრივ პირობების შექმნას. ავაზაკობა, ცარცვა-გლეჯა, საკუთრების დარბევა, პიროვნების ღირსების შეურაცყოფა, კაცის კვლა—ერთის სიტყვით, ყველა ის, რაც ახასიათებს წესის გარეშე ყოფნას და ანარქიას, რუსეთში ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული. რევოლიუციურ მთავრობამ გამოიჩინა სრული უძლურება ანარქიის მოსპობაში! მის მოქმედებას ნათლად აჩნევია უსისტემობის და გამოურკვევლობის დაღი! მთავრობა აცხადებს, რომ რუსეთის სახელმწიფოში ქონება და პიროვნება უზრუნველყოფილი არ არის; ფინანსიური ბანკროტობა ეჭვს გარეშეა; სახელმწიფო მეურნეობა, საქონლის დამუშავება და ფაბრიკაცია, ტრანსპორტი—ყოველივე ეს ძირიან-ფესვიანად შერყეულია... მოშლილია თვით მექანიზმი სახელმწიფოსი, ის, რაც ახასიათებს სახელმწიფოებრივ ცხოვრების წესიერ მიმდინარეობას.

ასე დაცემული და დაძაბუნებული წარსდგება რუსეთი უდიდეს კრების წინაშე. იქ უნდა შეინძრეს ჰკვა და გონება რუსეთის ხალხისა, აამოძრავდეს მასში დამარხული პოტენციური ძალები, რომ სასწაული მოხდეს და განრღვეული განიკურნოს!

რ. ინგილო

# ქრონიკა

## თბილისი

**პურის ბარათები.** შაბათს, მარიამობისთვის 19-ს, ქალაქის სასურსათო კომიტეტი პურის მისაღებ ბარათებს დაურიგებს დაწესებულებებს, მათ შორის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსაც.

**ღვინის დატაცება.** მარიამობისთვის 14-ს ნავთლუღის სადგურიდან რამდენიმე ბოჭკა ღვინო მოჰქონდათ საწყობში კუზნეცოვის მედროგეებს. ერთის უკან ჩამორჩენილ დროგს რამდენიმე სალდათი დაეცა, გასტეხეს ბოჭკა და ღვინო დალიეს; ზოგიერთებმა თანაც წაიღეს ღვინო; დამთვრალებმა უწესოება მოახდინეს. მილიციონერებმა დროზე მოასწრეს და წესიერება აღადგინეს.

**პურის ნიხრი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა შემდეგი ნიხრი დააწესა გამომცხვარ პურზე: ერთი გირვანქა ფურნისა წითელი—13 კაპ., შავი—$11\frac{1}{2}$ კაპ., თორნისა წითელი $13\frac{1}{2}$ კაპ., შავი—12 კაპ., ერთ გირვანქიანი ბულკა 26 კაპეიკი.

**სურსათის მიღება.** მარიამობისთვის 15-ს სასურსათო კომიტეტმა მიიღო 15 ვაგონი ფქვილი.

## კავკასია

**საბეითალო დაწესებულების წარმომადგენელი.** ამიერ-კავკასიის სამოქალაქო საბეითალო კრებულმა თავის წარმომადგენლად აირჩია შიო დედაბრიშვილი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს პეტროგრადში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ საბეითალო საბჭოს მუშაობაში. ბ-ნი დედაბრიშვილი მიემგზავრება პეტროგრადს მარიამობისთვის 22-ს და იქ დიდხანს დარჩება. ამ თავითვე დედაბრიშვილი მოხსენებას წარუდგენს საბჭოს შესახებ დაუყონებლივი ღონისძიებისა საქონლის ჭირთან საბრძოლველად დასავლეთ საქართველოში. შემდეგი მისი მოხსენებანი შეეხებიან ცხვრის საძოვარი ადგილების საკითხს, სხვა და სხვა ჯიშიან საქონლის მოშენებას საქართველოში, ქართველ ბეითლების გადმოყვანას საქართველოში რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან და სხ. ბ-ნ დედაბრიშვილს აზრად აქვს, როცა საჭიროება მოითხოვს, საჭირო მასალების შეკრება-მიწოდებაში დაიხმაროს ქართული და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი.

## საქართველო

**თბილისის მიტროპოლიტი.** სინოდმა საქართველოს ყოფილი ეგზარხოსი პლატონი თბილისის მიტროპოლიტად დანიშნა.

**ალექსანდრე რომანოვის საჩივარი.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს საჩივარი მოუვიდა ალექსანდრე მიხეილის ძის რომანოვისაგან, რომ სოხუმის ოლქში ჩემი მამული დაიუფლა სალდათების დეპუტატთა საბჭომ და დახმარება აღმომიჩინეთო.

**საქონლის გატანის აკრძალვა.** თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის მიერ აკრძალულია გატანა თბილისიდან და თბილისის გუბერნიიდან ფართლისა, ტანთსაცმელებისა და საცვლებისა. აკრძალვას დროებითი ხასიათი აქვს, სანამ გამოირკვეოდეს რაოდენობა ჩამოთვლილ საქონლისა. მიუხედავად ასეთი განკარგულებისა ზოგიერთი ვაჭრები და კერძო კაცნი, ცდილობენ საქონლის ჩუმად გატანას; ამ დღეებში, მაგალითად, თბილისში დააკავეს სალდათებისაგან ცინდელის მაღაზიაში ნაყიდი მანუფაქტურა და ამანათებად დამზადებული ფოსტით გასაგზავნად.

## თელავი.

მარიამობისთვის 13-ს ამიერ-კავკასიის კომისარიატს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა თელავის საკრედიტო ბანკის წევრთა ყრილობამ, რიცხვით 400 კაცმა, რომელნიც შესდგებიან თელავისა, შილდაურისა, ყურდღელაურისა, ვარდისუბნისა და გულგულის მცხოვრებთაგან: გთხოვთ უსამართლოდ გადასახლებული ლუკაშვილი დააბრუნოთ თელავში, რომელმაც მარიამობისთვის 20-ს კრებას უნდა განუმარტოს, თუ რა ბრალს სდებს მას ერთი ჯგუფი ბანკის საქმეებისა გამო.

## პროვინცია.

**ხმოსნების არჩევნები გორში.** 13 ამ თვისას გორში აურჩევნიათ ხმოსნებათ: 15 სოციალდემოკრატი, 6 დაშნაკცაკან, 5 სოციალისტ რევოლუციონური, სამი ეროვნულ-დემოკრატი, სამი სოციალისტ-ფედერალისტი, და ერთიც კადეტი. ეროვნულ-დემოკრატებს მიუღიათ 434 ხმა, ხოლო სოც. ფედერალისტებს 423.

**საქალაქო არჩევნები ფოთში.** მარიამობისთვის 13-ს ფოთის ქალაქის ხმოსნებად არჩეული არიან: სოციალ-დემოკრ.. 20, ნიკოლაძის ჯგუფის—4, სოც.-რევ. 4, სოც.-ფედ. 2 და სომეხი 1 კაცი.

**საქონლის ჭირი.** გლეხთა კავშირი სთხოვს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს ეხლავე მიიღოს შესაფერი ღონისძიება საქონლის ჭირის წინააღმდეგ სოხუმის ოლქში.

**შეცდომის გასწორება** „საქართველოს“ № 179 მესამე სვეტში, ბოლოდან მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე პწკარში დაბეჭდილია: „ეს უნდა ხდებოდეს, რომ არ ითვლებოდეს“. უნდა იყოს „ეს ისე უნდა ხდებოდეს რომ არ იშლებოდეს“.

# ორი მილიონის გატაცება სპარსეთში

თბილისში მიღებული ცნობა თუ მართალი გამოდგა, დამხურდავებელ-გამსესხებელ ბანკის თავრიზის განყოფილების კასსირს, ტომით ფრანგს, 2 მილიონი მანეთი გაუტაცნია და დამალულა. ფულები ყოფილა სულ ახალი ას თუმნიანები. გამქცეულის დასაჭერად და ფულის საპოვნელად სასტიკი ღონისძიება მიღებული. თავრიზსა და ჯულფას შუა ყველა გამვლელ-გამომვლელს სჩხრეკავენ თურმე.

# ქალაქის ახალი საბჭო

## წარსული სხდომების ჟურნალის დამტკიცება.

სხდომა იწყება საღამოს 8 ს. და 50 წ. თავმჯდომარეობს ე. გეგეჭკორი. დარბაზში სიწყნარეა. მრავალი ხმოსანი არ მოსულა. ქანდარა ხალხით სავსეა. ჟურნალისტების ალაგი მთლად დაკავებულია.

**გეგეჭკორი.** დღის წესრიგი წაკითხული გექნებათ, პირველად მსჯელობა იქნება სარეკომენდაციო კომისიის მოქმედების შესახებ. არჩეულ არიან აღმასრულებელი და სამზადისის კომისიები. ხმოსანი შავერდოვი წაიკითხავს მათ გვარებს ვინც კომისიებში შევიდნენ.

**გ. გვაზავა.** გთხოვთ საბჭოს წარუდგინოთ დასამტკიცებლად წარსული სხდომების ჟურნალი. გვაზავას წინადადება მიღებულ იქნა და მდივანი წარსული სხდომის ჟურნალს კითხულობს.

**ფ. მახარაძე.** ჟურნალის შინაარსი არ გამოხატავს სხდომის სულის კვეთებას. მოყვანილი პუნქტები ძლიერ შემოკლებულია, ბევრი ღირს შესანიშნავი გამოტოვებულია.

ალბად დაშნაკცაკანებსაც ქონებიათ ასეთნაირი პრეტენზია ჟურნალის მიმართ და მახარაძეს ტაშს უკრავენ.

**ე. გეგეჭკორი.** მაგალითად?!.

**ფ. მახარაძე.** ჩემი მიერ წამოყენებულ იყო, რომ საბჭოს მიერ განხილულ ყოფილიყო სიკვდილით დასჯის შესახებ. ეს ნაწილი კი ჟურნალში სრულებით გამოტოვებული არის.

**ე. გეგეჭკორი.** თქვენი შენიშვნა უსაფუძვლოა, ის ჟურნალის სრულ ტექსტში თქვენი სიტყვები სავსებით მოყვანილია. თავმჯდომარე მახარაძეს ღინჯად უკითხავს ჟურნალის იმ ნაწილს, სადაც მახარაძის შენიშვნაზეა მსჯელობა. ამის შემდეგ სხდომა ამტკიცებს ჟურნალს.

## შავერდოვის მოხსენება.

**შავერდოვი.** (ბოლშევიკი) კვირას სარეკომენდაციო კომისიამ იქონია მსჯელობა აღმასრულებელ და სამზადისის კომისიების შედგენაზე და დაადგინა შედგენილ იქნას შემდეგი კომისიები: 1) კომისია, რომელიც განიხილავს საბჭოში შემოსულ თხოვნებს. კომისიაში შევა 5 წევრი. 2) სარევიზიო კომისია, რომელშიაც 15 წევრი შევა, 3) ხარჯთ-აღრიცხვის და ფინანსების კომისია, რომელშიაც 19 წევრი შევა. 4) ლომბარდის და დამხმარე კასების რევიზიის კომისია, რომელშიაც 5 წევრი შევა. 5) სატეხნიკო კომისია, რომელშიაც შევლენ ხმოსნები, ტეხნიკოსები და ინჟინრები, 6) ქალაქის გამგეობის კომისია, რომელშიაც 11 წევრი შევა. 7) ტრამვაის კომისია, რომელშიაც 11 წევრი შევა. 10) ჯანმრთელობის კომისია, რომელშიაც შევლენ ექიმები, ფარმაცევტები და ფერშლები ხმოსნები. 11) სასურსათო კომისია, რომელშიაც 17 წევრი შევა. 12) იურიდიული კომისია, რომელშიაც შევლენ ხმოსნები იურისტები. 13) ზუბალაშვილის ღატაკთა თავ-შესაფარის, რომელშიაც 5 წევრი შევა. 14) სადგილ-მამულო კომისია, შევლენ 13 წევრი. 15) გადასახადების აკრეფის კომისია 7 წევრი. 16) პენსიების კომისია, რომელშიც 9 წევრი შევა. 17) სასკოლო კომისია, რომელშიც 20 წევრი შევა. 18) სატყე-საბაღოსნო კომისია—3 წევრი. 19) შრომის კომისია—9 წევრი. 20) თვითმართველობის კომისია, რომელშიაც 15 წევრი შევა. 21) დემობილიზაციასთან საბრძოლველი კომისია—15 წევრი. 22) ბინის კომისია—1 წევრი. 23) სამხედრო ბეგრის კომისია—2 წევრი. 24) ზუბალაშვილის სახალხო სახლის კომისია, შევლენ 3 წევრი. 25) შემფასებელი კომისია, შევლენ 3 წევრი. ამ კომისიების შემადგენლობაში თითქმის ყველა ფრაქციის წარმომადგენლები არიან შესულნი. და საერთოდ კი ყველა ხმოსანი იღებს ამა თუ იმ კომისიაში მონაწილეობას. ამიტომ მათი გვარების აღნიშვნა ზედმეტად მიგვაჩნია.

## საკითხი აღმასრულებელ კომისიების გაუქმების შესახებ

**ფ. მახარაძე.** ჩემი აზრით საკითხი აღმასრულებელ და საარჩევნო კომისიების შესახებ რთულია. გაუგებარი ხდება ჩემთვის, რა მნიშვნელობა აქვს აღმასრულებელი კომისიების არსებობას, როდესაც არსებობს საპასუხისმგებლო ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. რადგანაც მსჯელობის მხარე ქალაქის გამგეობას ეხება, ამიტომ სიტყვას თხოულობს ქალაქის თავი ნ. ელიავა.

**ნ. ელიავა.** ისეთნაირი მდგომარეობა არის, რომ ამ ჟამად ქალაქის გამგეობას არ ძალუძს თავის ხელში აიღოს ყველა ის ფუნქციები, რომელთაც აღმასრულებელ კომისიები უძღვებიან. მომავალში კი ეს კომისიები მოსპობილ იქნება.

**გ. გვაზავა.** მე მოვითხოვ, რომ რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს საქალაქო დებულებათა წიგნი, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ქალაქის გამგეობის უფლებებზე. რაც შეეხება თეორიულ მხარეს, მე ვეთანხმები ქალაქის გამგეობას, რომ მომავალში მოსპობილ იქმნას ეს კომისიები და დარჩეს მხოლოდ სამზადისის კომისია.

შემოდის წინადადება საკითხის გადასაჭრელად კენჭის ყრა მოხდეს. კენჭის ყრა მოხდა, და უმრავლესობის მიერ საკითხი აღმასრულებელ კომისიების შესახებ დროებით გადაიდო.

**გ. გვაზავა.** საჭიროა ვიცოდეთ, რამდენი ხნით გადაიდვა ეს საკითხი.

**ფ. მახარაძე.** ვთხოულობ განმარტებას—ქალაქის გამგეობა ბოლოს და ბოლოს ამ კომისიებს გააუქმებს თუ არა.

**ნ. ელიავა.** საკითხის გადასაჭრელად ჩემი აზრით ქალაქის გამგეობას დასჭირდება უკანასკნელი ორი თვე მაინც. რაც შეეხება საბოლოო გაუქმებას, ეს უკვე გადაწყდა—როგორც კი შესაძლებელი იქმნება და ქალაქის გამგეობისთვის ხელსაყრელი—ეს აღმასრულებელი კომისიები გაუქმებულ იქნებიან.

## ნ. ბ. ხომერიკის მიერ ხმოსნობაზე უარის განცხადება

**ე. გეგეჭკორი.** ქალაქის გამგეობამ მიიღო განცხადება ნ. გ. ხომერიკისა, რომ ავადმყოფობის გამო ქალაქის საბჭოს ხმოსნობაზე უარს აცხადებს. ამიტომ გთხოვთ დაამტკიცოთ ხმოსნად პირველი კანდიდატი ს.-დემოკრატიულ სიიდან გაბრიელ გერასიმის ძე კაფიევი. საბჭო ამტკიცებს ახალ ხმოსანს.

## ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნები

**გ. გვაზავა.** მოვითხოვ რომ რიცხვი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა ორამდე იყოს აყვანილი. არჩევნებში კი აუცილებლივ დაცულ იქმნას კოალიციური სისტემა. და რადგანაც ამ ჟამად მთელი რუსეთი გაყოფილია ორ ბანაკად—სოციალისტებად და არა სოციალისტებათ, ამიტომ მოვითხოვ რომ ერთი მოადგილე სოციალისტი იყოს, მეორე მოადგილე კი არა სოციალისტი.

**ხუმიონოვი.** (კადეტი) წინააღმდეგია ასეთნაირ სისტემისა და იცავს სისტემას ერთი მოადგილისას.

**გ. გვაზავა.** ჩემს მიერ წამოყენებული სისტემა სრულებით არ ეწინააღმდეგება რუსეთის საქალაქო დებულებებს. წაკითხული გექნებათ, რომ მოსკოვში ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა 8 კაცი. პეტროგრადშიაც ესევე მოხდა.

ამ საკითხზედაც ისპობა კამათი და კენჭის ყრა ხდება. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ორ მოადგილეთა სისტემას.

**ერზინკიანი.** მოვითხოვთ ჯამაგირის დანიშვნას ქალაქის საბჭოს მოადგილეთათვის. ს. დემოკრატიულ ფრაქციის შეხედულება ძველია. როგორც საბჭოს თავმჯდომარეს, ისე მის მოადგილეებს თვიურად უნდა ეძლეოდეს 500 მანეთი წლიურად კი 6000 მან.

საწინააღმდეგო საბჭოს არა აქვს

გადაწყდა, ერთი მოადგილე სოც. რევოლიუციონერების მიერ იქნას წამოყენებული, მეორე კი დაშნაკცაკანებისაგან.

ს. რევოლიუციონერების მიერ წამოყენებულ იქნა მერხარევის კანდიდატურა.

დაშნაკცაკანები სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო დროებით უარს ამბობენ კანდიდატის დასახელებაზე. მერხარევი თანახმა არის ყუთის დადგმის. ედგმის ყუთი და მერხარევი ღებულობს 58 თეთრს და 3 შავს.

## ქალაქის გამგეობის წევრთა არჩევანი

**ე. გეგეჭკორი.** თქვენ მიერ დადგენილ იქნა, რომ ქალაქის გამგეობა შემდგარიყო 11 წევრისაგან—რომელთა რიცხვში ქალაქის თავიც შედიოდა. ამათში 7 უკვე არჩეულ იქმნა

დარჩა ასარჩევი 4. გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატები.

**გ. გვაზავა.** საქალაქო საქმეები კერძო პარტიების საქმე არ არის—არამედ არის საქმე ცოდნისა. ამიტომ აუცილებელია ძალთა შეკავშირება.

**მახატუნი.** ეთანხმება გვაზავას და ძალთა შეერთებას იცავს.

**გარჩაკიანი.** (დაშნაკ.) მე მწამს, რომ საბჭო დაამტკიცებს დაშნაკცაკანთა უფლებას, მიიღებს პროპორციულ სისტემას და მოგვანიჭებს ქალაქის გამგეობაში იმდენ ალაგს, რამდენიც შეეფერება ჩვენს რიცხვს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება პარტიათა შორისო შეთანხმება.

**კარიჯიანი** (ს. დ.). დაშნაცაკანთა ლტოლვა მიუღებელია ჩვენთვის. დაშნაკცაკანები თავიანთ პარტიას ერთად ერთ სომხურ-ნაციონალისტურ პარტიას ეძახიან. მათი წარმოდგენით ვინც დაშნაკცაკანი არ არის, ის არც სომეხია. როდესაც დაშნაკცაკანები მოითხოვენ ქალაქის გამგეობის წევრთა შემადგენლობაში პროპორციალ სისტემის დაცვას, მაშინ ისინი ამას მოითხოვენ არა პარტიული თვალსაზრისით, არამედ ნაციონალისტური თვალსაზრისით. მათი ალაგი ყოველთვის ნაციონალისტურია. მათ უნდათ, რომ სომხებმა ქალაქის გამგეობაში იმდენი ადგილი დაიჭირონ, რამდენის უფლებასაც სომეხ ხმოსანთა რიცხვი იძლევა. ეს პრინციპი თითქმის სავსებით დაცულია ჩვენს მიერ. ს. დემოკრატების მიერ ქალაქის გამგეობაში ორი სომეხია გაყვანილი. ორსაც კი დაშნაკცაკანებს გაიყვანებენ. ასე რომ სომეხი 4 იქნება თერთმეტიდან, რაც მთლად ეთანხმება სომეხ ხმოსანთა რიცხვს. ან შეიძლება ჩვენ მიერ წამოყენებული აზატიანი, როგორც სოც.-დემოკრატი სომეხი არ არის? თუ ასეა, მაშინ სხვა არის. მაგრამ ამ შემთხვევაში დაშნაკცაკანები სცდებიან, სომეხი სოც.-დემოკრატი ეროვნულად მაინც სომეხია და უნდა ვსთქვათ, ძლიერ კარგი სომეხია.

**ჩემოდანოვი** (ს. რ.) ჩვენ ამ საკითხზე წინეთაც არავითარი გადაწყვეტილება არ გამოგვიტანია და საკითხი ღია დავსტოვეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაშნაკცაკანების სურვილი სამართლიანია და მოვითხოვთ მიეცეთ მათ იმდენი ადგილი, რის უფლებასაც 19,000 სომეხი ამომრჩეველი იძლევა.

**ალ. ლომთათიძე.** ხაზს ვუსვამ სოციალისტ-რევოლიუციონერების ორმაგ პოლიტიკას, მაგრამ ეს მათი საქმეა. ჩვენი შეხედულება გამომდინარეობს იქიდან, რომ ასე თუ ისე ყველა ფრაქციას ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. ქალაქის გამგეობაში 4 ადგილი თავისუფალია. ჩვენ მოვუწოდებთ მარჯვენა მხარეზე მჯდომთ ფრაქციებს თავიანთი კანდიდატთა სიების წამოყენებას.

(დასასრული იქნება)

# ჩვენი სასულიერო სასწავლებლის მოწყობა

ასი წელიწადი მეტია, რაც ჩვენი სასულიერო პირების სწავლა-აღზრდა სრულიად უკუღმართ გზას ადგა: იმათი აღზრდა არაფრით არ განირჩეოდა სწავლის იმ წესწყობილებიდგან, რომელიც რუსეთის ბურსებში არსებობდა.

ჩვენს სამღვდელოებას ჩვენი ეკლესიისა და ხალხის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი არ ამზადებდნენ, არამედ იმ სისტემისა და პოლიტიკური მისწრაფების განსახორციელებლად, რომლითაც რუსი მასწავლებლები და მოხელეები ხელმძღვანელობდნენ ჩვენში.

თუმცა მთელი რუსეთის სასულიერო სასწავლებლებში საზარლად იყო მოწყობილი სწავლა-აღზრდის საქმე, მაგრამ რუსეთის მომავალ ღვდლებს ცოტათ მაინც გამოადგებოდათ ცხოვრებაში ის, რასაც ასწავლიდნენ. ჩვენი შვილებისათვის კი სრულებით გამოუსადეგარი იყო ის სწავლა.

რუსეთში, როგორც მოგეხსენებათ, საღმრთო მსახურება სლავიანურ ენაზე სრულდება, გალობაც ღვთის-მსახურების დროს სლავიანურია. საქართველოში-კი, ცხადია, ღვთის-მსახურება ქართულ ენაზე უნდა ეწარმოებინათ რუსულ სემინარიებში აღზრდილ ქართველ ღვდლებს.

მაგრამ მათი უბედურება ის იყო, რომ მათ არც ქართული ენა ჰქონდათ შესწავლილი, არც ხუცური წიგნების კითხვა შეეძლოთ და არც გალობა იცოდნენ, რადგანაც ჩვენებურ სემინარიებში ამაებს არ ასწავლიდნენ.

ამიტომაც სლავიანურად უფრო ეხერხებოდათ ჩვენებურ გადაგვარებულ ღვდლებს ღვთის მსახურების შესრულება, ვიდრე ქართულად, და მართლაც ყოველგან, საჭირო იყო, თუ არა, პაკი პაკით გაიძახოდნენ და ეკლესიებიდან ხალხს აფრთხობდნენ.

ძველად, სანამ ჩვენს ეკლესიაში ასეთი უკუღმართი წესი დამყარდებოდა, უმეტესი ნაწილი ჩვენი სულიერი მამებისა ისე მშვენიერად ასრულებდნენ ღვთის მსახურებას, ისეთი მომხიბლავი კითხვა და გალობა გაისმოდა ჩვენს ეკლესიებში და მონასტრებში, რომ ანდამატივით იზიდავდა კეთილ-მორწმუნე ხალხს.

ეხლა რაკი ასრულდა ჩვენი დიდი ხნის ნატვრა და ჩვენი ეკლესია განთავისუფლდა იმ მძიმე უღლისაგან, რომელიც აწვა მას კისერზე ასი წლის განმავლობაში, სრულებით უნდა შეიცვალოს ჩვენი მომავალი სამღვდელოების აღზრდა-სწავლება და ამის შესაფერად სრულიად უნდა გადაკეთდნენ ჩვენი ეხლანდელი სასულიერო სასწავლებლები. აი სწორეთ ამ მწვავე საკითხის შესახებ მინდა წარმოვსთქვა ჩემი აზრი.

1) სამრევლო სკოლები სრულებით საჭიროთ არ მიმაჩნია: ისინი საეროვნო სკოლებად უნდა გადიქცნენ და ისეთი ხასიათი უნდა ექნესთ მათ, როგორც სხვა საერო სკოლებს. ასეთ სკოლებში ერთად ისწავლიან, როგორც ერის კაცის შვილები, ისე სასულიერო პირების შვილები, როგორც ვაჟები, ისე ქალები. ხოლო ასეთი სკოლების დასრულების შემდეგ ვინც ისურვებს, სასულიერო სასწავლებლებში გადავლენ.

2) ეხლანდელი დაბალი სასულიერო სასწავლებლები სრულიად უნდა დაიკეტონ და შეუერთდნენ სასულიერო სემინარიებს. სასულიერო სემინარიები კი უნდა დაარსდეს ყოველგან, სადაც საჭიროება იქნება. იქ სწავლა უნდა გაგრძელდეს ექვსს წელიწადს. ჩვენი ახალი სემინარიები, რასა თქმა უნდა, ნამდვილი ეროვნული უნდა იყვნენ. ყველა საჭირო საგნების სწავლება დედა ენაზე უნდა სწარმოებდეს; რუსული ენის სწავლება შეადგენს ცალკე საგანს. ყველა საზოგადო საგნების გარდა, იქ უნდა შეისწავლონ მოწაფეებმა ყველა ის საგნები, რომლების ცოდნაც მიუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ჩვენი სასულიერო წოდებისთვის. სემინარიის დასრულების შემდეგ მას, ვინც სწავლის გაგრძელებას არ მოისურვებს, უფლება ექნება ღვდლად ეკურთხოს.

3) სემინარიების გარდა მიუცილებლად საჭიროა ჯერ-ჯერობით ერთი ეროვნული სასულიერო აკადემია დავაარსოთ საქართველოს დედა ქალაქში—თბილისში. აკადემიაში გადავლენ სემინარიებიდან ყველა ისინი, ვინც სწავლის გაგრძელებას მოისურვებენ. აი ამ უმაღლეს სასწავლებელში უნდა დამთავრდეს და დაგვირგვინდეს სპეციალური სასულიერო განათლება ჩვენი სასულიერო პირებისა.

გ. იოსელიანი.

# კახეთში

(8—10 ივლისს)

(გაგრძელება *)

ჰერეთს ეპისკოპოსი დაადგინა ვახტანგ გორგასალმა მის-მიერვე აშენებულს საყდარში. მანვე თავის შვილს დაჩის მისცა „ქალაქი ჰერაჲი, ქალაქი, ნეკრესი და კამბეჩოვანის ქალაქი ხორნაბუჯი". ვახუშტის დროს იქვე არსებობდა ჰერმელი ღვდელ მთავარი. იგი სწერს (გეოგრაფია, გვ. 160): „ჰერმის წყალზედ არს, ცივისა ანუ ჰერეთის მთის საშორისსა, ჰერეთი, რომელი იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით კახეთისა, და ზის დღესაცა".

აი ეს „დიდშენი" საყდარი და „ქალაქი მაგარი" დღეს ვნახეთ ჩვენ. თლილის ქვით აგებულია. სახურავი ჩამონგრეულია, გარდა ნაწილისა საკურთხეველს ზემო. სიგრძით 30 ნაბიჯია, სიგანით 20. საკურთხევლის ქვემო ყოველმხრივ შისდევს ეკვდერი, რომლის სიგანე სულ ორი ნაბიჯია, სიმაღლე მიუწვდება ეკლესიის შუამდე და მაზედ მიბჯენილია ზემო თაღით. მთლიანად გადარჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის ეკვდერი, ხოლო სამხრეთისა და დასავლეთისა გადანგრეულია. ნგრევისთვის ხელი შეუწყვია დიდრონ ხეებს, რომელნიც მათში აღმოცენებულან. ჩრდილო ეკვდრის კარის პირდაპირ საყდრის კარია. სამხრეთის კედელიც ჩამონგრეულა. შიგ იატაკი ქვითა და ღორღით სავსეა. საკურთხეველში ოდნავ-ღა მოჩანს ხატწერობის ნიშნები. სარკმლები აქვს მაღლა, ფრიად ვიწრო. ჩრდილოეთის ეკვდერის ქვაზე, დაბლა, მოკლე წარწერაა ასომთავრული: „გალატოზი მელქაძე".

ამ საყდრის გვერდით მცირე საყდარია, რომელსაც კვირაცხოვლის ეძახიან. სახურავი უკვე ექცევა ანუ, უკეთ ვთქვათ, უქცევიან უგუნურები, რომელნიც მის ქვეშ ხაზინებს ეძებენ. მართლაც, კვირაცხოვლის ქვეშ მოჩანს სარდაფი. გვითხრეს, მასში იპოვნესო ოქროს უნაგირი. ჩვენ გვგონია, ეს სარდაფი იხმარებოდა არა სამალავად ნივთებისა, არამედ წყლის აუზად: მას ზემოდან აქვს წვიმის წყლის ღარი და ქვემოდგან ავსებულ აუზიდან გასავალი სადენი. ეზოშივეა ძველი შენობის ნაშთი და აგრეთვე სხვა ეკლესია, ახალი დროისა, რომელშიაც სწარმოებს წირვა. ეზო დაჩრდილულია დიდრონი ხეებით და არტყია გალავანი. კვირაცხოვლის ზემო ყოფილა დიდი ბურჯი თუ კოშკი, რომელიც დღეს მიწასთან გასწორებულია.

არ ვიცით, როდის მოისპო ძველი ქალაქი, ხოლო დღეს ჰერემში ცხოვრობენ ამ 60—80 წლ. წინად გადმოსახლებული იმერლები და 15 კომლი ფშავლები—წიკლაურები. სულ 300 კომლი. დღესაც ჰერემი თავის ლამაზი სახლებითა და ქუჩებით მოგაგონებთ პატარა და კოხტა ქალაქს. სამწუხაროდ, ამოტელა სოფელში სკოლა არ არის, და ამის შესახებ სიტყვა ჩამოვუგდეთ ადგილობრივ კამისარს ალექსი აბესაძეს.

იგი სამუშაოზედ იყო. ჩვენ რომ მივედით და ჩამოვხტით ეკლესიის კარებზე, მისმა სათნო მეუღლემ მოწყლედ მიგვიღო და მიგვიპატიჟა. საღამოზე მობრძანდა თვით სახლის პატრონიც თავის შვილით. ბოდიში მოვიხადეთ, რომ უმისოდ მის სახლის ბჭეში შემოვდგით ფეხი. რა ბძანებაა, ბატონო, სტუმარი ღვთისაა, რათ წუხდებით რომ ბოდიშს ხდილობთ, პირიქით, მე მიხარიან, რომ თქვენისთანა კაცთან გავატარებ მცირე ხანსო. იგი და მისი შვილი გიორგი შეუდგნენ ხელ-პირის დაბანას, სამუშაო საცმლების გამოცვლას, ხოლო ჩვენ წავედით სოფლის თავისკენ მესამე საყდრის სანახავად. გამოგვყვა აქაურივე სალდათი ფეხში დაჭრილი. წელიწად-ნახევარია რაც დაჭრეს და მას აქეთ ვერ მომირჩაო ფეხი. ძალიან კოჭლობდა. იმ საყდრამდის ორი ვერსის მანძილი იყო, დაბინდების გამო ველარ მივაღწიეთ და დავბრუნდით შუა-გზიდამ. იმას ქვითკირ წერ-დაბალი და დიდ სალოცავად გვეთვლებაო. აგებულობით სწორეთ ისეთიაო, ვით ეს საეპისკოპოს საყდარიო. აქაც ნასახლარები არისო. არსებობსო გადმოცემა, რომ აქაური ქალი გათხოვილაო პატარძლად ძუის-უბანში, რომელიც ჰერემის ხევის იქითა მხარეს არისო.

დაბრუნებისას ქუჩის პირად გამომდგარიყვნენ ჯგუფ-ჯგუფად აქაური ქალები, ლამაზად ჩაცმულები და მოხდენილები. გვლისას ფეხზე გვიდგებოდნენ, გვეგებებოდნენ. რაღა თქმა უნდა, ჩვენგან გულითად სალამს არ აკლდებოდნენ. ერთ ჯგუფს დავეკითხეთ: „როგორი მოსავალი მოგივიდათ, როგორ ცხოვრობთ, თქვენ სოფელში ბევრი ფურცლის ხეა, როგორი მოსავალი გქონდათ პარკისა და სხვ. ვშრომობთო და ვირჯებითო, მაგრამ წლეულს სულ უპარკოდ დავრჩითო, რადგან გამოწერილი ჭიის თესლი კარგი არ გამოგვადგაო. ქალაქში ჩვენ გვყავს პარკის ჭიის საქმის კარგი მცოდნე და ის რომ გამოიწეროთ, ბევრს საჭირო ცნობას მოგცემთ და კაი ხელმძღვანელობას გაგიწევთ-მეთქი, მოვახსენე ამ ჰერემელ ლამაზ ქალებს.

კომისარიატთან ბლომა ხალხი შეკრებილიყო და ბაასობდნენ იმის შესახებ, ვინ გაეგზავნათ სიღნაღის ს.-დ. კრებაზე. დიასახლისმა მიგვიწვია სუფრაზე, რომელიც აყვავებულ იყო მრავალ-გვარ საჭმელებით: ბლომად ელაგა შოთები, კვერცხები, ყველი, ქათამი, ხილი, ქებულ ჰერემულ ლობიოსაგან გაკეთებული სურნელოვანი და ნოყიერი შეჭამანდი. რაღა თქმა უნდა, სუფრას არ აკლდა კახურიც. ბ-ნ აბესაძის ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ სოფელი საკმაოდ შეძლებულია. და მე ვკითხე, ამისთანა შვენიერ სოფელს, მიკვირს, აქამდის სკოლა არა აქვსო. მითხრა, უკვე გადაწყვეტილი გვაქვს, ენკენისთვიდამ გავხსნათო. ვურჩიე მიემართნათ წ.-კ. საზოგადოებისადმი დაუყონებლად. ვახშამმა შუაღამემდე გასტანა ტკბილ საუბარში. სახლის პატრონმა და დიასახლისმა ბევრი ცნობა მოგვცეს თავიანთ სოფლისა და მეურნეობის შესახებ. ჩვენში არისო საპნის მიწა. ვაგუნდავებთო მას და მიგვაქვსო თელავს, სადაც თითო გუნდაში ორ შაურს იძლევიანო. ერთი გუნდა დიასახლისმა გადმოსცა საეკლესიო მუზეუმისთვის. აქვე არისო ერთნაირი ლურჯი ქვა. ამ წინა ხანებში ურემს სამ მანეთად ვჰყიდდითო რომელსაც ამხანაგობას რკინის გზების ხიდების ასაგებად. აქვე არისო საკრამიტო და სააგურო მიწა, ხოლო რიყეში სასაფლაო ძეგლების გასაკეთებელი ქვები, კარის ქვა. მე ვკითხე, მაშ ამ საეპისკოპოსო საყდრის თლილი ქვაც აქაური იქნება-თქო, არაო, მოგიგო, მაგისთანა ქვა აქ არსადაა და არ ვიცით, საიდამ მოუტანიათო.

მ. ჯანაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

*) იხ. საქართველო" № 179.

# გაუფრთხილდით ქირნახულს.

(წერილი გზიდან).

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხის ერთად-ერთი სახსარი ქირნახულია. ეს ითქმის მეტადრე ქართლზე, სადაც საუბედუროთ უმრავლესობა მშრომელი ხალხისა თითქმის მარტო პურისა და ქერის მოყვანას მისდევს და მეხილეობა-მევენახეობას და სხვა კულტურულ მეურნეობას ჯერ იმდენათ ფეხი ვერ მოუკიდებია.

ქერი და პური აი მთელი წლის სარჩო საბადებელი ჩვენი გლეხისა. ქერი და პური უნდა აჭმოს, ქერმა და პურმა უნდა ჩააცვას, დახუროს და პირველი მოთხოვნილებანი მაინც დააკმაყოფილოს. სხვა შემოსავალი წყარო მას არ გააჩნია.

დღევანდელ საარაკო სიძვირეში ქერისა და პურის ფასმაც აიწია, თუმცა არა იმდენი პროცენტით, როგორც სხვა დანარჩენ საქონელზე. მიუხედავათ ამისა ზოგიერთებს სურს ქირნახულზე ფასი დასწიონ კიდევ, თორემ აბა ხომ „ველარაფერში ჩასტია" გლეხმა ასე „ძვირად" გაყიდული ქირნახულიდან აღებული ფული? ხუთი და ათი შაური ფუთი ქერი და შვიდი მანეთი პური! აბა როგორ შეიძლება ეს მამასისხლობა!? ასე გაჰკივიან სოფლის მუშაობის არ მცოდნე პირები.

ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ რომ წინათ, როდესაც ფუთი ქერი ოთხი აბაზი და მანეთი ფასობდა, მაშინ დღიური მუშა 70—80 კაპ. იყო. დღეს კი 5 მანეთად ღირდა მკისა და კალოს დღიური მუშა. წინათ თუ თვიური მუშა 10—11 მანეთი იყოს დღეს 11 თუმნადაც ველარ იშოვება. წინათ თუ ჩითი არშინი 12 კ. იყო დღეს ექვსი აბაზია. წინათ თუ ათეული წუმწუმა 7—8 კაპ. იყო, დღეს ერთი კოლოფი იშოვება მხოლოდ ამ ფასად, ისიც კოოპერატივებში, თორემ კერძო დუქნებში ორ შაურადაც ვერა შოულობენ. სხვა მაგალითების მოყვანა საჭირო არ არის. საკმარისია ეს ციფრები შეადაროთ და მიუდგომლათა სთქვათ, რომ ქერი და პური სხვა საქონელთან შედარებით გაცილებით იაფია.

თუ ეს ასეა, მაშ რათ უნდათ კიდევ გააიაფონ, რათ უნდათ დაუწიონ ფასები? ნუ თუ იმიტომ რომ ლობიდაბლები გლეხები არიან და მათზე ყველას ადვილად შეუძლიანთ გადააბიჯონ? თუ ეს ასე არ არის, მაშ რითი აიხსნება ის მოვლენა, რომ როდესაც ამ სტრიქონების დამწერი დაბა ცხინვალში მიდიოდა, სოფელ ნიქოზის თავში ორი ურემი ქირნახული ნახა, რომლებიც კომიტეტს ცხინვალში არ შეეშვა, რაკი ისინი ფუთ ქერს 5 მან. და ათ შაურის ნაკლებ არა ფიქრობდნენ გაყიდვას?!

ძველი მთავრობისაგან ხომ ვიყავით და ვიყავით დაჩაგრულები, და ახალი მთავრობაც მარტო ჩვენ გვერევა! ამბობს ბუტბუტით ცხინვალიდან მომავალი, გულ-გაღუდული, გაოფლიანებული გლეხი.

— რა იყო ძმობილო, რაშია საქმე, ვინ გაგაჯავრა? გამოველაპარაკე ფრთხილად მე იმას.

— რაღა ვინ გამაჯავრა, შენი ჭირიმე, დილას აქეთია ნიქოზში მიყენია ორი ურემი და ცხინვალში შეტანის ნებას არ მაძლევენ, თუ ფუთი ქერი ოთხ მანეთად არ მივეცი, და აბა როგორ მივცე, როდესაც სამი დღის წინათ ხუთსა და სამ აბაზში გაყიდა ჩემმა მეზობელმა?! დაკლება შეიძლება და ასე უცბად ფუთზე რვა აბაზისა? ჯანი გავარდეს, მეც დავუკლებდი, თუნდაც მეტსა, მაგრამ ჩვენ რომ ყველაფერს მამა სისხლადა ვყიდულობთ, ყველაფერს რომ ცეცხლი უკიდია? გააიაფოს ახალმა მთავრობამ სხვა საქონელი და ჩვენც ძველებურად გავყიდით ქირნახულს. თუ არა და, აბა სადაური სამართალია, მარტო ჩვენ რომ გვერევა შენი ჭირიმე?

ასე ამბობდა გლეხი და განა ის თავისებურად მართალი არ იყო? დღევანდელ ომის გამო თუ შეუძლებელია ნორმალურ ფასებში ჩაყენება სხვა საქონლისა, ტყუილად ნუ ეცდებიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი პურისა და ქერის ფასების დაწევაში, ვინაიდან ეხლა გლეხმაც კი იცის რომ რუსეთის ქაღალდს არაფერი ფასი აქვს, და თუ ძალიან გააჯავრეთ, აღარც „კარგ ფასებში" გაჰყიდიან, რადგან რათ უნდა თუნდაც მართლა კარგი ფასი, თუ კი ვერაფერს ვერ იყიდის? დამარილება რომ შეიძლებოდეს, დაამარილებდა რუსეთის ქაღალდის ფულს და შეინახავდა, მაგრამ ეს საშუალება ხომ უფრო დაალპობს და უფრო უვარგის რამეთ გადააქცევს? ქერით და პურით კი ყველაფერს იშოვნის. თუ ჩვენი გლეხი ვერ ივლის შიშველი, მით უმეტეს სხვები ვერ გასძლებენ მშიერნი, და ვნახოთ ბოლოს და ბოლოს ვის დასჭირდება ხვეწნა: პურის მომყვანთ, თუ ჩითებისა და ნავთ-საპონ-წუმწუმების პატრონთ?

მაშ, მშრომელო ხალხო, გაუფრთხილდი ერთად ერთ შენს ქონებას, ნუ გადაჰყრი ნახევარ ფასათ, იცოდე, რომ ძალით ვერავინ წაგართმევს, რადგან შენ იმდენი არა გაქვს, რომ გითხრან—მოჭარბებული გაქვს და მოვალე ხარ დაკლებულ ფასებში გაჰყიდო, ვითომდა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. გეყო რაც შენ ზურგზე მალაყს გადადიოდნენ. დროა შეკავშირდე და თქვენ თავს თითონ უპატრონოთ. თუ პეტრე, ივანე, პავლე და გიო ყველა ერთ პირს შეჰკრავთ და არ გაჰყიდით თქვენ საზარალო ფასებში, მაშინ მერწმუნეთ მეტს ანგარიშს გაგიწევენ, იძულებულნი გახდებიან გამონახონ ისეთი საშუალება, რომ სხვა ყველაფერიც გაიაფდეს.

მ. იშხნელი.

# კორესპონდენცია

## ბოდბიდან

(საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის საყურადღებოდ.)

7 მარიამობისთვეს ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტერს ეწვია რუს მონასტერთა კეთილ-მოწესე ბერ-მონაზონი ანტონი, რომელმაც გამოუცხადა მონასტრის დებს, რომ, რადგან მონასტერი ქართველობის ხელში გადავიდა, ამიტომ ყველა რუსის მონაზონნი უნდა აიყარნენ ყოველივე მონასტრის მოძრავი ქონებით და გადასახლდნენ იმ მონასტერში, რომელსაც რუსის სასულიერო მთავრობა მიუჩენსო, აქ კი მონასტერი გაუქმებულ იქმნებაო.

ამ განცხადებამ მონასტრის მომეტებული დანი ჩააფიქრა და სასოწარკვეთილებას მიეცნენ. ისინი, მზათ არიან აქვე დარჩნენ და დაემორჩილნენ საქართველოს ეკლესიის მმართველობას, ოღონდ არ დაანებონ მონასტრის ქონებაც, უკეთუ მათ საქართველოს ეკლესია თვის უწყების ქვეშ მიიღებს. ვინაიდგან მოსალოდნელია, რომ წამსვლელი მონაზონნი ეცდებიან ახლავე მონასტრის ქონების დატაცება-განადგურებას, რასაც ზოგიერთი კადნიერი მონაზონნი სიტყვიერად საყოველთაოთ აღიარებენ.

ამიტომ საჭიროა, რომ საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ მონაზონთ შესახებ, და თავის მხრივაც ზომა მიიღოს მონასტრის ქონების დასაცავად, რომელიც არის კუთვნილება მხოლოდ წმ. ნინოს საფლავთან არსებულ მონასტრისა.

მღ. ი. მაჭავარიანი.

## შილდიდან

(კახეთი)

1913 წელს სოფელ შილდაში მოკრიფეს ფული ამ ფულით, და კიდე ს. გრემში, საბუეში, ალმატში, ღვდგომში და ს. ენისელში მოკრებილი ფულით უნდა დაეარსებინათ ფოშტა-ტელეგრაფის სადგური ს. ენისელში ამ ზემო მოხსენებულ ექვსი სოფლისთვის. მაგრამ ძველმა მთავრობამ ფოსტა-ტელეგრაფის სადგური დაარსა სოფელ ყვარელში, ეს ექვსი სოფელი კი ხახა მშრალი დააგდო, რადგანაც ხეირიანი წინამძღოლი ამ სოფლებს არ ჰყავდა და არა ჰყავს. ხალხი კი ამ უფოშტობით დიდათ შეწუხებული იყო და არის, მეტადრე ამ ომის დროს რადგანაც ნახევარი წერილებიც არ მიდი-მოდის, გზაში იკარგება, ან თუ მოდის ძალიან გვიან. აქამდის ს. შილდაში ორი დილიჟანი მუშაობდა, იკარგებოდა თუ რაც მიდიოდა წერილები კიდე მიდი-მოდიოდა თელავის ფოშტამდი, ეხლა კი მხოლოდ ერთი დილიჟანი და მუშაობს ისიც მხოლოდ კვირაში ორჯერ ან სამჯერ მოდის ისეთი უვარგობაა ამ დილიჟანში, რო ნახოთ, თბილისის ტრამვაი დაგავიწყდებათ, ისეა გაჭედილი ხალხით. მეტადრეს ხშირად აგვიწყდება წერილების და გაზეთების მოტანა, და აქედან თუ გინდათ კიდე თქვენი წერილი თელავის ფოშტამდის მივიდეს, ან ღვინო ან არაყი უნდა დაალევინო, ასე რომ, ერთი წერილის გაგზავნა მანეთი მანეთ ნახევარი უჯდება კაცს. ამისთვის გთხოვთ, ვისაც შეეძლიანთ ეს საქმე ხელი მოჰკიდოთ და დაგვაარსებინოთ ფოშტა-ტელეგრაფის სადგური ს. შილდაში ჩვენი ფულით, მხოლოდ შრომა თქვენი. იმედია გამოჩნდება რომელიმე გულ კეთილი ადამიანი და ყურადღებას მიაქცევს ჩემ წერილს.

ხვიმონ მირიანაშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.



## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

თბილისიდან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | სამგზ. № 3, | 11.09 | დილ. |
| " | სამგზ. № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისაკენ | სამგზ. № 19, | 8.20 | დილ. |
| " | " № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 9.20 | დილ. |
| " | სამგზ. № 8, | 8.54 | დღ. |
| " | საფ. № 4, | 9.38 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-8, | 11.14 | საღ. |

თბილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 7.61 | დილ. |
| " | საფ. № 4, | 8.33 | საღ. |
| ბაქ.-ბორჯომ. | სამგზ. № 20, | 7.48 | დილ. |
| " | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. № 62, | 8.54 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 5, | 10.03 | დილ. |
| " | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| " | ჩქარ. № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. № 3**, | 8.10 | დილ. |

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

## საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა [illegible] ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჯე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრონცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—40


[illegible] № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"